სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 ივლისი 2004 №151 (2172) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ყველაზე მოულოდნელი ფინალი

ელოდით? ვინმე იფიქრებდით ამას? გეგონათ? ალბათ, არა, თავს ნუ მოვიტყუებთ, ყველანი ერთსა და იმავეს ვწონიდით და ვზომავდით, ვმსჯელობდით, ვინ უფრო ტექნიკურია, ვის უფრო მეტი ვარსკვლავი ჰყავს და ვისი მწვრთნელი ვისაზე უფრო ძლიერია.

მაგრამ საბერძნეთი? პორტუგალია კიდევ ჰო, მასპინძელი იყო და სხვებით გაძლიერებული ლუიშ ფიგუ ჰყავდა, მაგრამ საბერძნეთი?!

დიახ, საბერძნეთი და პორტუგალია!

ასეთია რეალობა.



გიო ახვლედიანის ფინალური რეპორტაჟი პორტუგალიიდან

მოკითხვამდე, ეუსებიო და ლუიზ

ამბავი სხვებისთვის მრგვალი ბურთისა, რომელიც საქართველოში თორმეტი წელია, ოთხკუთხედია

საქართველოს ნაკრები რომ სუსტი გუნდია, მისმა თორმეტწლიანმა ისტორიამაც დაადასტურა, მაგრამ რა იყო ათი წლის წინ ლატვიის ნაკრები? მამათაგან გაგვიგონია, ოდესღაც რიგის „დაუგავა“ უმაღლეს ლიგაში თამაშობდაო, ხოლო ლუბლიანის „ოლიმპია“ ჩამოვიდოდა სოჭში, წააგებდა 2:14-ს „დინამოს“ დუბლებთან და წავიდოდა უკან. ახლა სად არის სლოვენიის ნაკრები, ისიც მოინიშნეთ და სად არის ლატვიის ნაკრები და მერე კიდევ იმასაც შეხედეთ, სად არის საქართველოს ნაკრები. ალექსანდრს სტარკოვსს შეუძლია გამართული ტაქტიკური ნახაზის შეთავაზება გუნდისთვის და ქართველ მწვრთნელს არ შეუძლია? დიახ, ასეა. ლატვიელი ფეხბურთელი ყოფილა იმგვარად მზად ფიზიკურად, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს და ძლებს. ბეხრეკი იგორს სტეპანოვსი თამაშობს, ასე ვთქვათ, დიდ ფეხბურთში და ჩვენ აქ წიხლაობა ვერ აღვკვეთეთ სოფლების მინდვრებზე. ასეა.

...ხვალ კი არის ლისაბონი, ძველი და ჯადოსნური, მზით გამძღარი, თვლემას მიჩვეული და ზეიმის მოლოდინში გატრუნული. ასე იცის პორტუგალიამ, თამაშის წინ გაიტრუნება ხოლმე.

დროშების დრო საბერძნეთში

რეჰაგელმა მერკის ბავშვობა გაიხსენა

პაველ ნედვედი: ვივახშმებთ და წავალთ

რა იყიდება დღეს ყველაზე კარგად საბერძნეთში? — ეროვნული დროშა. მეოთხედფინალში, ნახევარფინალში, გუშინწინ კი ფინალში გასვლამ სრულიად საბერძნეთს დროშის ფრიალის სურვილი გაუჩინა. ის, რაც დაახლოებით ორი წლის განმავლობაში უნდა გასაღებულიყო, ორ კვირაში გათავდა. ამის მიზეზი პორტუგალიაში ელინთა წარმატებული ლაშქრობაა, ხოლო რაც დახლებიდან გაქრა, ქუჩებში გამოჩნდა.

„ნახევარფინალამდე იმდენი გულშემატკივარი მოგვაწყდა, მომსახურებას ველარ ვასწრებდი. მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა“ — გაოგნებული იყო ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელი მარია, რომელიც ათენის ოლიმპიური სტადიონის მახლობლად ვაჭრობს.

ჩეხებთან გამარჯვების შემდეგ მარია მაღაზიაში წასულა, მოვასწრებ, ერთ-ორ დროშას ავიღებ და ქუჩაში მოზეიმეებს შევერევიო. როგორც კი კარი გაუღია, გულშემატკივართა ჯარი შეჰყოლია, რომლებმაც იყიდეს ნაკრების მაისურები, შარფები და აღებ-მიცემობა ორი საათი გაგრძელებულა.

საბერძნეთს გუშინწინ არ ეძინა, ფოიერვერკით განათებულ ათენში ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული და ბევრი ავტომობილის საყვირი გადაიწვა.

პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა ნაკრების გამარჯვებას ისტორიული უწოდა: „მათ ოცნება სინამდვილედ აქციეს. დაამტკიცეს, რომ შრომით ყველაფრის მიღწევა შეიძლება“.

ათენი კი არა, ავსტრალიაში, სიდნეიში მცხოვრები ბერძნები გზაზე გამოიშალნენ და მოძრაობა გადაკეტეს — „პოლიცია დაშლას გვთხოვს, მაგრამ ძლივს სამხიარულო მიზეზი გაგვიჩნდა და ამდენ ხალხს იოლად ვერავინ დაშლის“ — უთხრა ავსტრალიის ტელევიზიას მავანმა ენდი პასკალიდისმა.

პორტუში არანაკლები ამბები მოხდა. შვიდიათასამდე ქომაგმა ღამე ლხინში გაათენა. ელინთა კაპიტანმა თეოდოროს ზაგორაკისმა კი თქვა: „ეს ნაღდად სასწაულია. პორტუგალიაში ფავორიტად არავინ გვთლიდა და უცბად ფინალში აღმოვჩნდით. რომელიმე ჩვენგანს ერთი თვის წინ რომ ეთქვა, ფინალში გავალთო, გიჟად შერაცხავდნენ. ბოლო 35 დღის მანძილზე ერთად ვცხოვრობთ და ჩვენ უბრალოდ, ფეხბურთის გუნდი კი არა, ოჯახი ვართ. ჩეხებთან გაცილებით უარესად ვითამაშეთ, ვიდრე აქამდე გამართულ ოთხ მატჩში, მაგრამ მაინც შევძელით გამარჯვება“.

ბერძნული გაზეთები ნაკრების ქება-დიდებითაა აჭრელებული. „ღმერთმა უსმინა თავის ფეხბურთელებს“ — წერს „ეთნოსი“, ხოლო „ელეფთეროს ტიპოსმა“ ასეთი სათაური გამოფინა: „ბერძნული სულის გამარჯვება“, ერთ-ერთი გაზეთი კი კითხულობს: „ჩემპიონობა? რატომაც არა!“

ოტო რეჰაგელმა გუშინ გუნდი ერთი საათით ავარჯიშა. „ზეიმი დამთავრდა, წინ ფინალია და უნდა მოვემზადოთ“ — თქვა ოტო რეჰაგელმა. ანგელოს ბასინასი უკვე ხვალინდელ მატჩზე ბჭობს: „პირველი შეხვედრისგან სრულად განსხვავებული თამაში იქნება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ის, რომ პორტუგალიელები ჯგუფში დავამარცხეთ, უნდა დავივიწყოთ“.

ანგელოს ხარისტიასი: „ვფიქრობ, შანსები თანაბარია. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები ფავორიტებად ითვლებიან. მათ ხომ უკვე ნახეს, რა დავმართეთ საფრანგეთს და ჩეხეთს, ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებთ“.

ოტო რეჰაგელმა ბიჭებს უთხრა, მარკუს მერკი გერმანელია, მაგრამ მისი დახმარების იმედი ნუ გექნებათო. „მერკი თხუთმეტი წლის იყო, რომ გავიცანი — გაიხსენა რეჰაგელმა — იგი ძალიან მკაცრი მსაჯია. ერთხელ გუნდესლიგაში მწვრთნელობისას ისეთ ვითარებაში გამაძევა, რომ მეგონა, გაფრთხილებასაც კი არ ვიმსახურებდი“.

ეს გამარჯვებულების ამბები იყო, ახლა ჩეხებზეც ვთქვათ.

კარელ ბრუკნერი: „ბერძნებმა ჭკვიანურად ითამაშეს და დარწმუნებული ვარ, ფინალშიც იგივე ტაქტიკას თუ გამოიყენებენ, მოგების დიდი შანსი აქვთ. მეორე ტაიმში თითქმის ყველაფერს სწორად ვაკეთებდით, მაგრამ მეტოქე უფრო ეფექტური აღმოჩნდა. მარცხით ძალიან ნაწყენი არ ვარ. ჩემი თითოეული ფეხბურთელით ვამაყობ. პაველ ნედვედმა გასახდელში თანაგუნდელებს უთხრა, რომ ჩეხეთის ეს ნაკრები საუკეთესო იყო“.

პაველ ნედვედი: „მატჩამდე საბრძოლო განწყობა გვქონდა და გამარჯვებაშიც თითქმის დარწმუნებულები ვიყავით, მაგრამ თამაშის დროს ძალიან გაგვიჭირდა, ყოველ წუთს იგრძნობოდა, რომ დასასრულისკენ მეტად გართულდებოდა ბერძნეთა ძლევა“.

ჩეხთა კაპიტანს ტრავმაზეც ჰკითხეს, მან კი ასე უპასუხა: „მუხლი მეტოქის ბუცს ისე ძლიერად მივარტყი, რომ დაბიჯებისას ფეხი ახლაც საშინლად მტკივა. წაგების შემდეგ ფეხბურთზე საუბრის სურვილიც აღარ მაქვს. ბიჭებს შევკრებ, ვივახშმებთ და სეზონსაც ამით დავამთავრებთ“.

მილან ბაროში: „ძალიან ვწუხვარ, რადგან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც შინ წასვლა გვიწევს. ფინალის ტელევიზორში ნახვა არ მინდოდა, თუმცა რას იზამ, ასეთია ფეხბურთი. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა კი ჩემთვის დიდი შვება ნამდვილად არაა“.

ასე გასრულად კარელ ბრუკნერის კოხტა გუნდისთვის ევრო 2004 და კარელ პობორსკის ოცნებაც, მეასე სანაკრებო მატჩი ჩემპიონატის ფინალში ეთამაშა, აუხდენელი დარჩა.

ვაჟა ხუციშვილი





რუუდს ფრისკი ჟენრად დაუჯდა

რუუდ ვან ნისტელროის

უეფამ გუშინ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ჰოლანდიელმა ფორვარდმა პორტუგალიასთან წაგებული მატჩის შემდეგ შვედ მსაჯ ანდერს ფრისკს მასპინძელთა სასარგებლოდ სტვენა დასწამა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მეგოლემ ჟურნალისტებს გვირაბში განუცხადა: „მსაჯი აშკარად პორტუგალიელთა მხარეს იყო. ნებისმიერ სადავო ვითარებაში მათ სასარგებლოდ უსტვენდა და ამის წინააღმდეგ ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით“.

სასჯელი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩზე გავრცელდება, ასე რომ, ვან ნისტელროი 8 სექტემბერს შინ ჩეხებთან შეხვედრას გამოტოვებს და 9 ოქტომბერს სტუმრად მაკედონიასთანაც ვერ ითამაშებს.

ჰოლანდიელ ფორვარდს უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება 5 ივლისს, შუადღემდე შეუძლია.

ვაჟა ხუციშვილი

გიო ახვლედიანი
ლისაბონიდან

მოკითხვამდე, ეშტადიო და ლუზ

რას ნიშნავს, ბურთი მრგვალია

ოდესღაც ამ ადგილას ყოფილა ძველი სამეფო, ლუზიტანია. ყოფილა, თუ მხოლოდ ლეგენდებში ყოფილა, ამას მე ვერ გამოვარკვევ. ყოფილა და არც ყოფილა. ამ სამეფოს მეფე კი ყოფილა ლუზი. ახლა მოდით და მოთვალეთ ათასგვარი რამ სიმბოლოები და შიგნით ისიც ჩააწანით, რომ ლუზ სინათლესაც ნიშნავს. პირდაპირ ასე იტყვიან, ეშტადიო და ლუზ, სინათლის სტადიონი. სინათლის, ძველი ამბის თუ რისა, ეს სტადიონი კი დგას და ელის ამ ხალხს — გარედან თეთრია, ალისფერი რკინებით გაყოფილი, შიგნიდან სულ ალისფერი, თეთრი რკინებით გაწყობილი.

ძალიან მაგარი სტადიონია, „ეშტადიო და ლუზ", ძალიან გემრიელი და დიდიც ხომ არის და არის. ამიტომ, მოლოდინისთვის და ფინალისთვის მართლაც რომ საგანგებოდ შერჩეული ადგილია, თუმცა ლისაბონში მისებრი მოცულობისა და გაქანების სხვა სტადიონიცაა, „ჟოზე ალვალადე", თეთრითა და მწვანით გაწყობილი, მაგრამ მაინც ადრიდანვე „ლუზი" ითქვა ფინალის ადგილად და ამით აღინიშნა სწორედ ის პატივი, რაც მთელს ამ ისტორიაში მიეკუთვნა პორტუგალიური ფეხბურთის საერთაშორისოდ სახელის პირველ განმთქმელს, „ბენფიკას", ბოლო დროს გვარიანად დამცრობილსა და შენუხებულს.

ოღონდაც, ლაპარაკი ამ ისტორიის შესახებ ახლა ნაკლებმნიშვნელოვანია. თქვენ ალბათ გახსოვთ, სად იყო ოტო რეჰაგელი სამი წლის წინათ. უმუშევარი იმაზეც ყაბულს იყო, რომ გაეწვრთნა ესენგეს ქვეყნების ზოგიერთი ნაკრები. ოღონდაც ამ ზოგიერთმა მაშინ თავი არ მოიკლა იმ კაცის მოსაწვევად, ვინც ფრანც ბეკენბაუერმა ყოვლად უნამუსოდ უეფას თასის ფინალის წინ დაითხოვა „ბაიერნიდან", ბუნდესლიგის ჩემპიონი ვერ გახდიო. ეს უფრო დიდი ხნის წინ იყო, ოღონდაც, იმის შემდეგ რეჰაგელის საქმიანობა საჩინოდ ვერ აეწყო. და აჰა, აი, მისი საათი და ჟამი, რურელი მაღაროელის ვაჟი, რომელიც ყვითელი პრესის კითხვიდან ოპერის ნამდვილ სიყვარულამდე და ცოდნამდე ამაღლდა და მიაღწია ევროპის ჩემპიონატის ფინალს. სხვათა შორის, დაუმადლებლად და დაუხმარებლად, ფეხბურთის ყველა ხერხის გამოყენებით.

მიაღწია და იქ კი ელოდებიან მასპინძლები, პორტუგალია. ხოლო მსაჯად არის რეჰაგელის კაი ამხანაგი, მარკუს მერკი, რომელსაც 65 წლის ღრიალა გერმანელი ბიჭობის ასაკიდან იცნობს და რომელსაც გიჟმაჟი ოტო ერთხელ ტრიბუნაზეც კი გაუძევებია.

მოკლედ, ბერძნები და მასპინძლები, რისაც ხუთშაბათს, საღამოს ათ საათამდე მაინც, არავის სჯეროდა. და აი, იქ გადაუბრუნდა ფეხი პაველ ნედვედს. იცით, რას გეტყვით, ყველაზე კარგი გამოთქმა ფეხბურთში არის, ბურთი მრგვალიაო. რადგან შენ რაც არ უნდა დაგეგმო, ბურთი მრგვალია. მავანმა ტოტალიზატორის მოთამაშემ რა უცნაური სურათიც არ უნდა დასახოს თავის გეგმაში, ბურთი მრგვალია. ბურთი მრგვალია იმას ნიშნავს, რომ ძალიან ხშირად, უფრო კი, როგორც წესი, ფეხბურთი ამა თუ იმ წამის იღბლიანობაზე ჰკიდია. შეიძლება, შენ ყველაფერი სწორადაც გააკეთო, მაგრამ გოლი არ გავიდეს, რადგან მეტოქემაც სწორად გააკეთა. ამ დროს კი შენს მეტოქეს ყველაფერი გამოუვა, ანდა, ყველაფერი არც არის საჭირო, უბრალოდ, რაღაც გამოუვა.

საქართველოში ფედერაცია უფრო მრგვალია, ვიდრე ბურთი

ფეხბურთში რომ უკვე აშკარად არსებობს ფოტოფინიში, ესეც არ არის ახალი ამბავი. ჰოდა, ბერძნებმა მოახერხეს ეს ფოტოფინიში ნახევარფინალში.

ჩვენ შენ გიმღერით, მშვენიერო ელადა, ჩვენ შენ გიმღერით... მეტი რაღა უნდა ექნათ ბერძენ ფეხბურთელებს და ბერძენ გულშემატკივრებს, მათ ყველაფერი ქნეს ერთმანეთის გასახარად, იმ საოცარი ამბისთვის, რაც მეფე ოტომ, ჩემპიონატის გახსნის დღიდანვე ბერძენთაგან ზევსად წოდებულმა მოახერხა.

უცნაურია, მაგრამ ჩემპიონატი იმით მთავრდება, რითაც დაიწყო: საბერძნეთ-პორტუგალიის მატჩით. ოღონდაც, ყველა მიხვდება — ეს არ იქნება გახსნის მატჩის მსგავსი. პორტუგალიამ იმდენი სიმტკიცე და ურყეობა მოიპოვა იმ თამაშის შემდეგ, იმდენი ბრძოლა გადაიხადა, რომ ალბათ აღარც ახსოვს ის საშინელი საღამო „დრაგაუზე". საბერძნეთს კი ის საღამო ახსოვს. ახსოვს და ეამაყება. ამ გამარჯვებით დაიწყო ელინთა სვლა ამ ჩემპიონატზე და აგერ, სადამდე მოვიდა. ესეც არ დაივიწყოთ, რომ ბერძენთა გუნდში არცთუ იოლი ვითარება იყო. ნახევარფინალში გასული ბერძნები პრემიების გაზრდას ითხოვდნენ ფედერაციისგან და კაპიტანი ზაგორაკისი მოლაპარაკებაზე დაიარებოდა. მგონი, ფედერაცია უკან აღარაფერზე დაიხევს.

ეს ფინალი იქით იყოს და, რას საქმიანობს ნეტავ ალენ ჟირესი?



ეს ის ბეკენბაუერია, რეჰაგელს კაიზერივით მედიდურად რომ შეელია... ახლა გერმანია ხეირიან მწვრთნელს ეძებს

ბერძენთა ცქერამ ამ ჩემპიონატზე დიახაც უნდა გაგვახსენოს საქართველოს ნაკრები.

ჩვენთან ტრადიციული გამოთქმაა, დიდი შეჯიბრებების ლაურეატებს შემოდგომიდან კრიზისი უდგებათო. ეს შეიძლება მათი თანაბარი ძალის გუნდებისთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ საქართველო, მგონი, ჯერ არ ასულა იმ დონეზე, რომ ოდესმე რამეში გამოეყენებინოს, ვთქვათ, ნორვეგიის ნაკრების კრიზისი. სამწუხაროდ, ჩემპიონატის ცქერისას კაცი კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდება ხოლმე თავისი ქვეყნის ფეხბურთს და იქ რაღაცა ცხრაკლიტულს მიადგება, ვინაიდან, როცა ყველა გეკითხება, როგორ არის კახა კალაძე, ეს კარგია, მაგრამ როცა არავინ მსჯერობს შენზე, როგორც საფეხბურთო ძალაზე, ან სულაც, უბრალოდ, საფეხბურთო ამბავზე, ძალიან ძნელია.

საქართველოს ნაკრები რომ სუსტი გუნდია, მისმა თორმეტწლიანმა ისტორიამაც დაადასტურა, მაგრამ რა იყო ათი წლის წინ ლატვიის ნაკრები? მამათაგან გაგვიგონია, ოდესღაც რიგის „დაუგავა" უმაღლეს ლიგაში თამაშობდაო, ხოლო ლუბლიანის „ოლიმპია" ჩამოვიდოდა სოჭში, წააგებდა 2:14-ს „დინამოს" დუბლებთან და წავიდოდა უკან. ახლა სად არის სლოვენიის ნაკრები, ისიც მოინიშნეთ და სად არის ლატვიის ნაკრები და მერე კიდევ იმასაც შეხედეთ, სად არის საქართველოს ნაკრები. ალექსანდრს სტარკოვსს შეუძლია გამართული ტაქტიკური ნახაზის შეთავაზება გუნდისთვის და ქართველ მწვრთნელს არ შეუძლია? დიახ, ასეა. ლატვიელი ფეხბურთელი ყოფილა იმგვარად მზად ფიზიკურად, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს და ძლებს. ბეხრეკი იგორს სტეპანოვსი თამაშობს, ასე ვთქვათ, დიდ ფეხბურთში და ჩვენ აქ წიხლაობა ვერ ალვკვეთეთ სოფლების მინდვრებზე. ასეა.

ჰოდა, თუ ასეა, ხშირხშირად მოვიკითხოთ ალენ ჟირესის ამბავი. ემანდ, იმას რამე არ გამოეპაროს და ჩვენც. თორემ, უბრალოდ, სირცხვილია, არა, მართლა სირცხვილია. ყველა ფეხბურთს თამაშობს. მსოფლიოს ჩემპიონატზეც ეგრე არ იყო?! იტალია მიდის სახლში, თურქეთი აგრძელებს. იტალია მიდის სახლში, საბერძნეთი აგრძელებს. შენ დაჯექი და უმიზნე შენს ქვითარში „მილანის" და „სარაგოსას" იქსებს, თუ ორიანებს, რა მნიშვნელობა აქვს.

ფეხბურთი სულ სხვა რამ არის. უკვე სულ სხვა რამ არის. ვუდი ალენმა კინო გადაიღო, სადაც ბრმა კაცი კინოს იღებს. ფეხბურთიც ასეა. მალე ბრმაც ითამაშებს. საქართველო ვერ თამაშობს, საქართველო ისეა მაგარი, ძველი ევროპაა, ასე ვთქვათ.

ეჰ...

ჩვენ კი მივუბრუნდეთ „ეშტადიო და ლუზს". მივუბრუნდეთ და ვუყუროთ გაჩუმებულს, ცარიელსა და მზის გულზე გამოდგმულს ერთი ზღაპრული ქალაქის ჩრდილოეთში, მუშათა ძველი უბნის ახალ უბანში. „ლუზიდან" ახლო არ არის ზღვა, „ლუზიდან", მგონი, ცა უფრო ახლოა, იმდენად ახლო, რომ „ბენფიკას" ფრთაგაშლილი არწივი თითქოს კვარცხლბეკზე კი არ დგას, არამედ უკვე ცაში ლივლივებს. „ლუზიდან" ახლოა დასასრული ერთი უცნაური ამბისა, რომელსაც ჰქვია ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელსაც წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება.

არც პორტუგალია და არც საბერძნეთი არასოდეს ყოფილან რაიმე სანაკრებო ტიტულის მფლობელნი.

და ასეა, ფეხბურთი იწყება, მერე მთავრდება, მერე ისევ იწყება და ეს ფეხბურთია. ვისაც არ მოსწონს, დარაბები შეიკეტოს და იჯდეს ბნელში რაღაც უფრო მნიშვნელოვანზე ჩაფიქრებული.

ქვემოთ კი არის ლისაბონი, ძველი და ჯადოსნური, მზით გამძლარი, თვლემას მიჩვეული და ზეიმის მოლოდინში გატრუნული. ასე იცის პორტუგალიამ, თამაშის წინ გაიტრუნება ხოლმე.

მოკითხვამდე, ეშტადიო და ლუზ...

4 ივლისი. ლისაბონი. „ლუზი“

ფინალი. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

პორტუგალია VS საბერძნეთი

ელოდით? ვინმე იფიქრებდით ამას? გეგონათ? ალბათ, არა, თავს ნუ მოვიტყუებთ, ყველანი ერთსა და იმავეს ვწონიდით და ვზომავდით, ვმსჯელობდით, ვინ უფრო ტექნიკურია, ვის უფრო მეტი ვარსკვლავი ჰყავს და ვისი მწვრთნელი ვისაზე უფრო ძლიერია, მაგრამ საბერძნეთი? პორტუგალია კიდევ ჰო, მასპინძელი იყო და სხვებით გაძლიერებული ლუიშ ფიგუ ჰყავდა, მაგრამ საბერძნეთი?!

დიახ, საბერძნეთი და პორტუგალია! — ასეთია რეალობა.

გზაზე დარჩა ორი კაცი

სკოლარიმ და რეჰაგელმა ახალი ევროპა აშენეს

ყველა ეგრეთ წოდებული დიდი ნაკრები გავარდა, მაგრამ ამაზე დღეს ნურაფერს ვიტყვით, ეს შეგვიძლია მომავალში განვიხილოთ. დღეს კი ფინალში გასულ გუნდებზე შევჩერდეთ და ისინი დავახასიათოთ.

მაშ ასე, ევრო 2004-ის ფინალს ძალიან გამოკვეთილი ხასიათი აქვს. ერთმანეთის პირისპირ დგანან გუნდები, რომელთაგან ერთმა ხუთი თამაშის განმავლობაში კარის მიმართულებით 96-ჯერ დაარტყა, ხოლო მეორემ 43-ჯერ. ერთმა 43-ჯერ ჩააწოდა კუთხური მოწინააღმდეგის კართან, მეორემ კი 20-ჯერ. ერთი ბურთს 155 წუთის განმავლობაში ფლობდა (სუფთა დროზეა ლაპარაკი), მეორე კი 115 წუთის განმავლობაში — ანუ პირველს მეორეზე მთელი 40 წუთით მეტი უბურთავია, თითქმის ერთი ტაიმით მეტი.

და ალბათ, იოლად მიხვდით, რომ პირველი პორტუგალიის ნაკრებია, ხოლო მეორე საბერძნეთის. დაგვეთანხმებით, აქ მხოლოდ მასპინძლობა-სტუმრობაზე არ არის განპირობებული, რომ ერთი ჩემპიონატს შინ ატარებს, ხოლო მეორე უცხოეთში. აქ საქმე უფრო მწვრთნელთა გონიერებასთან გვაქვს. როგორც პორტუგალიის, ასევე ბერძნების მწვრთნელმა სტრატეგია მათ ხელთ არსებულ „მასალაზე“ ააგეს. პორტუგალიელების თავკაცს, ლუიშ ფელიპე სკოლარის ჰყავს ფიგუ, დეკო, კრისტიანო რონალდო, რუი კოშტა, სიმაო საბროსა და სხვები, ანუ ყველა პირობა ჰქონდა საამისოდ, რომ სხვებზე მეტად ერტყა კარში და სხვებზე მეტი კუთხურიც ჩაეწოდებინა, ხოლო ამ მხრივ შეზღუდულ ბერძენთა თავკაცს, ოტო რეჰაგელს, ბუნებრივად უფრო თავდაცვის მექანიზმი უნდა დაექოქა და სხვათა შემოქმედების ჩაშლით და სხვათა შეცდომების ჩასაფრებით გამოეგლიჯა ჩემპიონატისთვის თავისი.

ПОРТУГАЛИА	საბერძნეთი	რუსეთი	ესპანეთი	ინგლისი	ჰოლანდია	ჯამი
გოლი	1	2	1	2	2	8
გაშვებული გოლი	2	0	0	2	1	5
კარისკენ დარტყმა	19	15	15	35	12	96
კარში დარტყმა	5	9	6	8	7	35
კუთხური	10	6	11	13	9	49
ბურთის ფლობა %	63	56	54	61	47	56.2
პასი	595	523	464	716	398	2696
სწორი პასი	453	424	356	550	284	2067
ჯარიმა	20	18	24	14	22	98
თამაშგარე	1	3	3	5	5	17
ყვითელი ბარათი	2	2	2	3	3	12
წითელი ბარათი	0	0	0	0	0	0

საბერძნეთი	პორტუგალია	ესპანეთი	რუსეთი	საფრანგეთი	ჩეხეთი	ჯამი
გოლი	2	1	1	1	1	6
გაშვებული გოლი	1	1	2	0	0	4
კარისკენ დარტყმა	8	9	12	5	9	43
კარში დარტყმა	4	2	4	5	5	20
კუთხური	3	2	8	3	4	20
ბურთის ფლობა %	37	42	47	45	48	43.8
პასი	323	352	393	398	494	1960
სწორი პასი	205	245	275	258	344	1327
ჯარიმა	23	16	16	14	15	84
თამაშგარე	4	2	5	1	4	16
ყვითელი ბარათი	2	5	2	2	3	14
წითელი ბარათი	0	0	0	0	0	0

და გამოგლიჯა კიდეც, რისთვისაც ქებას და დიდებას იმსახურებს უპირველესად თავად, ხოლო შემდეგ მისი ფეხბურთელები, რომლებიც პორტუგალიელებთან შედარებით თითქოს დაკნინებულნი გამოგვივიდნენ და ამიტომ ორი სიტყვით მათზეც შევჩერდებით: ბერძენი ფეხბურთელები იქნებ პირველი ხარისხის ვარსკვლავები მართლაც ვერ არიან (მიუხედავად იმისა, რომ ფინალში გავიდნენ), მაგრამ მაღალი დონის, გამოცდილი პროფესიონალები რომ გახლავან, ფაქტია. და, ცხადია, ბერძნებს ამ პროფესიონალთა დიდი ჯგუფი ჰყავთ (აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ქართველებისგან განსხვავებით), რაც იმას ნიშნავს, რომ რეჰაგელს მუშაობისთვის პირობები აქვს.

მაშ ასე, შევთანხმდით, რომ ევრო 2004-ის ფინალში განსხვავებული ბუნების გუნდები მოხვდნენ. ერთი მხრივ, შემტევი, ინდივიდუალისტთა ტოლქმედით შექმნილი პორტუგალია და მეორე მხრივ, გამოთლილ ოსტატთა სწორად თავდაცვასა და შეცდომის არპატიებაზე გამოწვრთნილი ერთობლიობა — საბერძნეთი. ზემოთ სტატისტიკოსთა ბლოკნოტებიდან მათი შეტევა შევადარეთ ერთმანეთს, ახლა კი სურათის გასაღრმავებლად დაცვის მონაცემებს შევხედოთ: ბერძნები მეტოქისთვის ბურთის ართმევის მიზნით ორთაბრძოლაში 242-ჯერ შევიდნენ, პორტუგალიელები 152-ჯერ, მათ წინააღმდეგ კი სურათი ასეთია: 130 ბერძნებისა და 269 პორტუგალიელთა. მოკლედ, ამ მონაცემებითაც ზუსტად იგივე გამოდის.

პასები გნებავთ? ინებეთ: საბერძნეთმა, როგორც კონტრშეტევაზე მოთამაშე გუნდმა, 582-ჯერ სცადა გრძელი პასის ჩაწოდება, პორტუგალიელებმა კი 448-ჯერ. საჯარიმოში მაღალი ბურთი ბერძნებმა 113-ჯერ ჩაჰკიდეს, ხოლო ევრო 2004-ის მასპინძლებმა 168-ჯერ.

სტატისტიკური მონაცემების მოყვანა კიდევ შეგვეძლო, მაგრამ ჯობს რიცხვებს თავს ნუ შევაცდევინებთ და ორი სიტყვით მწვრთნელები შევადაროთ ერთმანეთს, ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი და გერმანელი ოტო რეჰაგელი.

სკოლარით დავიწყოთ. ამ მწვრთნელმა ფეხბურთი აშკარად ზედმიწევნით და იმავდროულად ძალიან თავისებურად იცის. შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ ის ძველი დროიდან თანამედროვეობაში მოხერხებულად გადმოსულ ადამიანს ჰგავს, რომელიც ნიუანსებს კითხულობს და მათგან დიდ მოვლენას ჰქმნის. დაგვეთანხმებით, პორტუგალიის ნაკრები უნაკლო გუნდი არ არის — ცდება დაცვაში, თავდამსხმელებს გოლი ვერ გააქვთ, ნახევარდაცვაში კი ბევრი ერთნაირი, უკნიდან „შემვარდნი“ ფეხბურთელი გროვდება — მაგრამ ეს ის გუნდია, რომლის მწვრთნელმაც ყველაზე უკეთ ისარგებლა შეცვლებით, შეკარეს, რომელმაც მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში მეტოქეს დარტყმა აუღო, გამარჯვებისა თავად დაარტყმევინა, ხალხს კი მოუწოდა, ვისაც შინ რამე წითელი ან მწვანე გაქვთ, ჰოლანდიელებთან შეხვედრისას ჩაიცვით, თორემ ტრიბუნები მეტად ნარინჯისფერი იქნება და რამე ფარსაგი არ გამოდგესო. ან გახსოვთ, ინგლისთან მატჩის დროს შეცვლილი ფიგუ გასახდელში რომ ჩაიკეტა? მატჩის შემდგომ მწვრთნელმა ჟურნალისტებს უთხრა, ზუსტად ეიცი, ფიგუ გასახდელში ჩვენი გამარჯვებისთვის ლოცულობდაო — ფანდი მოიგონა ასეთი.

ოტო რეჰაგელი კი სხვა კაცია. ის ლოცვაზე არაფერს იტყვის, მაგრამ ოცდასამი ბერძენისგან ოცდასამ გერმანელს ნაღდად გამოწურავს. მან იცის თავდაცვის, თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლის და სხვა მოქმედებების ყველა წესი და მექანიზმი და ისიც იცის, რომელ შეხვედრაში რომელი გამოიყენოს. მას ჰყავდა მკაცრად და კარგად მოთამაშე „ვერდერი“, შემდეგ ასეთივე „კაიზერსლაუტერნი“ და დღეს ასეთივე საბერძნეთის ნაკრები ჰყავს. რეჰაგელმა საფრანგეთის ნაკრებთან მეოთხედფინალური მატჩის წინ შთამბეჭდავი რამ თქვა: ჩემი ფეხბურთელები ღამით რომ გააღვიძო და დაუძახო, ანრი ან ზიდანი, სიზმრიდან გამოურკვევლად გააკეთებენ იმას, რაც უნდა გააკეთონო.

ვისაც სურს, დღეს ღამით ბერძენთა ბანაკში შეიპაროს და ფიგუ იყვიროს.

პაპუნა კედია

ყვითელი

ПОРТУГАЛИА	საბერძნეთი
კოშტინია, დეკო, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კ. რონალდო, ფიგუ	კარაგუნისი (2), ზაგორაკისი, ხარისტიასი, სეიტარიდისი

ევროპის ჩემპიონატის ყველა ფინალი (1960-2000)

ევროპის თასი პირველად საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა იგორ ნეტომ ასწია

1960

10 ივლისი. პარიზი. „პარკ დე პრენსი"

სსრკ 2:1დ.დ.(1:1) იუგოსლავია

0:1 გალიჩი (43), 1:1 მეტრეველი (49), 2:1 პონედელნიკი (113)
სსრკ: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვორინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი
მწვრთნელი: გავრილ კაჩალინი
იუგოსლავია: ვიდინიჩი, დურკოვიჩი, ჯუსუფი, ზანეტიჩი, მილადინოვიჩი, პერუშიჩი, შეკულარაცი, ჟერკოვიჩი, გალიჩი, მატუში, კოშტიჩი
მწვრთნელი: ლუბომირ ლოვრიჩი
მსაჯი: არტურ ელისი (ინგლისი). 17 966 მაყურებელი

1964

21 ივნისი. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ"

ესპანეთი 2:1 სსრკ

0:1 ხუსაინოვი (8), 1:1 პერედა (6), 2:1 მარსელინო (84)
ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველა, კალეხა, ზოკო, ფუსტე, ამანსიო, პერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა
მწვრთნელი: ხოსე ვილიალონგო
სსრკ: იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, მუდრიკი, ვორონინი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, კორნეევი, ხუსაინოვი
მწვრთნელი: გავრილ კაჩალინი
მსაჯი: არტურ ჰოლანდი (ინგლისი). 79 115 მაყურებელი

1968

10 ივნისი. რომი. „სტადიო ოლიმპიკო"

იტალია 2:0 იუგოსლავია

1:0 რივა (12), 2:0 ანასტაზი (31)
იტალია: ძოფი, ანასტაზი, ბურგნიჩი, დე სისტი, დომენგინი, ფაკეტი, გუარნერი, მაცოლა, რივა, როსატო, სალვადორე
მწვრთნელი: ფერუჩიო ვალკარეჯი
იუგოსლავია: პანტელიჩი, ფაზლაგიჩი, დამიანოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, მუსემიჩი, ჯაიჩი, პავლოვიჩი, აჩიმოვიჩი, ტრივიჩი, ჰოსიჩი
მწვრთნელი: რაიკო მიტიჩი
მსაჯი: ხოსე ორტის დე მენდებილი (ესპანეთი)
32 886 მაყურებელი

1972

18 ივნისი. ბრიუსელი. „ეიზელი"

გფრ 3:0 სსრკ

1:0 მიულერი (27), 2:0 ვიმერი (51) 3:0 მიულერი (58)
გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ვიმერი, ჰაინკესი, უ. ჰიონესი, გ. მიულერი, ნეტცერი, კრემერსი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
სსრკ: რუდაკოვი,ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი (დოლმატოვი 46), ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი 66), ონიშჩენკო
მწვრთნელი: ალექსანდრ პონომარიოვი
მსაჯი: ფერდინანდ მარშალი (ავსტრია)
43 066 მაყურებელი

1976

20 ივნისი. ბელგრადი. „მარაკანა"

ჩეხოსლოვაკია 2:2დ.დ.(პენ.5:3, 2:2) გფრ

1:0 შვეჰლიკი (8), 2:0 დობიაში (25), 2:1 მიულერი (28), 2:2 ჰოლცენბაინი (90)
ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, დობიაში (ვესელი 109), ჩაპკოვიჩი, ონდრიუში, პივარნიკი, პანენკა, მოდერი, მასნი, ნეჰოდა (ბიროში 80), გოგი, შვეჰლიკი
მწვრთნელი: ვაცლავ იუჟეკი
გფრ: მაიერი, ფოგთსი, დიტცი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ვიმერი (ფლოე 46), ბონჰოფი, უ. ჰიონესი, დ. მიულერი, ბეერი (ბონგარტცი 80), ჰოლცენბაინი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
მსაჯი: სერჯო გონელა (იტალია)
30 790 მაყურებელი

1980

22 ივნისი. რომი. „სტადიო ოლიმპიკო"

გფრ 2:1 ბელგია

1:0 ჰრუბეში (10), 1:1 ვანდერეიკენი (79პ), 2:1 ჰრუბეში (89)
გფრ: შუმახერი, კალცი, კ. ფიორსტერი, შტილიკე, დიტცი, შუსტერი, ბრიგელი (კულმანი 55), ჰ. მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, ალოფსი
მწვრთნელი: იუპ დერვალი
ბელგია: პფაფი, გერეტსი, მილეკამპსი, მეუსი, რენკინი, ვ. ვან მური, ვანდერეიკენი, კოოლსი, მომენსი, ვან დერ ელსტი, კულემანსი
მწვრთნელი: გი ტისი
მსაჯი: ნიკოლაე რაინეა (რუმინეთი)
47 860 მაყურებელი

1984

27 ივნისი. პარიზი. „პარკ დე პრენსი"

საფრანგეთი 2:0 ესპანეთი

1:0 პლატინი (57), 2:0 ბელონი (90)
საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი (ამორო 73), ბოსი, ლე რუ, დომერგი, ტიგანა, ფერნანდესი, პლატინი, ჟირესი, ლაკომბი (ჟენგინი 80), ბელონი
მწვრთნელი: მიშელ იდალგო
ესპანეთი: არკონადა, ურკიაგა, სალვა (ბონილიო 85), გალეგო, კამაჩო, ხულიო ალბერტო (სარაბია 75), სენორი, მუნიოსი, ფრანსისკო, სანტილიანა, კარასკო
მწვრთნელი: მიგელ მუნიოს მოზუნი
გაძევება: ლე რუ (85)
მსაჯი: ვოიცეხ ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია)
47 368 მაყურებელი

1988

25 ივნისი. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი"

ჰოლანდია 2:0 სსრკ

1:0 გულიტი (32), 2:0 ვან ბასტენი (54)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან ტიგელენი, რ. კუმანი, ვან აერლე, ვანენბურგი, მიურენი, გულიტი, ვან ბასტენი, ე. კუმანი, რაიკარდი, ვოუტერსი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
სსრკ: დასაევი, ხიდიატულინი, დემიანენკო, რაცი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (პასულკო 71), ბელანოვი, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი (ბალტაჩა 68)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: მიშელ ვოტრო (საფრანგეთი)
62 770 მაყურებელი

1972 წელი. გერდ მიულერმა ევგენი რუდაკოვის კარი ორჯერ აიოხრა

1984 წლის ევროპის თასი მიშელ პლატინზე და საფრანგეთზე ალალი იყო

1992

26 ივნისი. გიოტებორგი. „ულევი"

დანია 2:0 გერმანია

1:0 იენსენი (18), 2:0 ვილფორტი (78)
დანია: შმაიხელი, სივებაკი (კრისტიანსენი 66), ნილსენი, ოლსენი, კრისტოფტე, ჯ. იენსენი, პოულსენი, ლაუდრუპი, პეხნიკი, ლარსენი, ვილფორტი
მწვრთნელი: რიქარდ-მიოლერ ნილსენი
გერმანია: ილგნერი, როიტერი, ბრემე, კოლერი, ბუხვალდი, ჰესლერი, რიდლე, ჰელმერი, ზამერი (დოლი 46), ეფენბერგი (ტომი 80), კლინსმანი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
მსაჯი: ბრუნო გალერი (შვეიცარია)
37 800 მაყურებელი

1996

30 ივნისი. ლონდონი. „უემბლი"

გერმანია 2:1დ.დ.(1:1) ჩეხეთი

0:1 ბერგერი (59პ), 1:1, 2:1 ბირჰოფი (73, 95-ოქროს გოლი)
გერმანია: კეპკე, ჰელმერი, ზამერი, შოლი (ბირჰოფი 69), ჰესლერი, კუნცი, ბაბელი, ციგე, კლინსმანი, შტრუნცი, აილტსი (ბოდე 46)
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
ჩეხეთი: კოუბა, სუხოპარეკი, ნედვედი, კადლეცი, ნემეცი, პობორსკი (შმიცერი 88), კუკა, ბეიბლი, ბერგერი, ჰორნაკი, რადა
მწვრთნელი: დუშან უჰრინი
მსაჯი: პიერლუიჯი პაირეტო (იტალია)
73 611 მაყურებელი

2000

2 ივლისი. როტერდამი. „დე კუიპი"

საფრანგეთი 2:1დ.დ.(1:1) იტალია

0:1 დელვეკიო (55), 1:1 ვილტორდი (90),
2:1 ტრეზეგე (103, ოქროს გოლი)
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი, ლიზარაზუ (პირესი 86), დეშანი, ვიეირა, ჯორკაეფი (ტრეზეგე 76), ზიდანი, ანრი, დიუგარი (ვილტორდი 58)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
იტალია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, მალდინი, იულიანო, პესოტო, დი ბიაჯო (ამბროზინი 65), ალბერტინი, ფიორე (დელ პიერო 53), ტოტი, დელვეკიო (მონტელა 85)
მწვრთნელი: დინო ძოფი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
48 100 მაყურებელი

დაჰკარ, დაჰკარ!

პორტუგალიის ნაკრები შორეული დარტყმებითაც ყველაზე გამორჩეულია ევრო 2004-ის მონაწილეთაგან. მასპინძლებმა საჯარიმო მოედნის გარედან სხვებზე მეტჯერ სცადეს ბედი და აქედან სამჯერ მიაღწიეს კიდეც წარმატებას: ესპანელებს ნუნუ გომეშმა გაუტანა, რუი კოშტამ ინგლისელებს, ხოლო მანიშემ ჰოლანდიელებს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად, ოღონდ ჯერჯერობით უშედეგოდ, ევროპელთაგან ლუიშ ფიგუ ურტყამს, მას დეკო და მანიშე მოსდევენ, ოღონდ უკვე პორტუგალიელთა შორის.

ყველაზე ცუდი მაჩვენებელი კი ჰოლანდიას აღმოაჩნდა. „ნარინჯისფერებმა“ საჯარიმოს გარედან მთელი ჩემპიონატის განმავლობაში 45-ჯერ დაარტყეს, მაგრამ რად გინდა, ამ მცდელობებს ერთი გოლიც არ მოჰყოლია. ჰოლანდიელებისგან ყველაზე ხშირად დარტყმელი კლარენს ზეედორფი გამოდგა.

ჯამში კი, ევრო 2004-ზე გასული 76 გოლიდან შორეული დარტყმით 12 გავიდა. ჩამოვთვალოთ, ვინ რამდენჯერ დაარტყა და რამდენჯერ შეაგდო.

პაპუნა კედია

პორტუგალია	50	3
ჰოლანდია	45	0
გერმანია	27	3
ჩეხეთი	34	2
საფრანგეთი	26	2
რუსეთი	20	0
შვეიცარია	18	0
ხორვატია	17	0
საბერძნეთი	20	1
შვედეთი	15	1
ბულგარეთი	15	0
ინგლისი	13	2
იტალია	13	0
დანია	12	1
ლატვია	8	0
ესპანეთი	4	0



მანიშე რიბეირუ: შორიდან გამტანი გამრჯე ნახევარმცველი

შუიდან დამიზნებული

პორტუგალიელების გამარჯვებამ ჰოლანდიელთა ერთხელ დაამტკიცა, რომ ევრო 2004-ის მასპინძლებს შეჯიბრების ყველაზე გოლგამტანი ნახევარდაცვა ჰყავთ. საინტერესოა, რომ დამარცხებულ ჰოლანდიას პირიქით, შედეგიანობის თვალსაზრისით ყველაზე ცუდად სწორედ მოედნის შუაში ჰქონდა საქმე.

საინტერესოა ისიც, რომ, როგორც სტატისტიკა მეტყველებს, გუნდებმა, რომლებიც ნახევარმცველთა გოლებით ვერ გამოირჩეოდნენ, პირველებმა დატოვეს პორტუგალია, ჰოლანდიელებს კი გულის დასამშვიდებლად შეუძლიათ იმით იამაყონ, რომ მათ (ან უკვე ბერძნებთან ერთად) ყველაზე შედეგიანი დაცვა გამოადგათ — თუ გახსოვთ ჩეხების კარში ერთი (!) გოლი პატრიკ ბუმამ შეაგდო და ზუსტად ასევე მოიქცა ბერძენი ტრაიანოს დელასიც.

ქვემოთ მოვიტანოთ ნაკრებთა მიერ გატანილი გოლების საერთო რაოდენობა და ცალკე გამოვყოთ ნახევარმცველების წილი.

პაპუნა კედია

პორტუგალია	8	6
ინგლისი	10	5
საფრანგეთი	7	3
ხორვატია	4	3
შვედეთი	8	2
საბერძნეთი	6	2
გერმანია	2	2
ჩეხეთი	10	1
დანია	4	1
იტალია	3	1
ესპანეთი	2	1
ბულგარეთი	1	1
ჰოლანდია	7	0
რუსეთი	2	0
შვეიცარია	1	0
ლატვია	1	0

ნახევარფინალის სტატისტიკა

სიმბოლური ნაკრები

საუკეთესო მწვრთნელი

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთი)

ნახევარფინალის საუკეთესო მოთამაშე

ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)

ბომბარდირები

მილან ბაროში	ჩეხეთი	5
უეინ რუნი	ინგლისი	4
რუუდ ვან ნისტელროი	ჰოლანდია	4
ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	3
ჰენრიკ ლარსონი	შვედეთი	3
იონ დალ ტომასონი	დანია	3
ფრენკ ლამპარდი	ინგლისი	3

საღ არიან ჩვენი ყოჩი, დარდიმანდი ბიჭები?

უეფა დარწმუნებულია, რომ საბერძნეთის ნაკრების მოულოდნელი წინსვლა ზოგადად ფეხბურთისთვის ძალიან კარგია, თუმცა ჩნდება სერიოზული კითხვაც: ფავორიტების ადრეული გავარდნა ხომ არ არის წამყვანი ევროპელი ფეხბურთელების გადაღლის ბრალი?

„შეჯიბრების დამაგვირგვინებელ ეტაპებზე ვხედავდით გუნდებს, რომლებსაც იქ არავინ ელოდა — აღიარა უეფას საზოგადოებრივ საქმეთა და ურთიერთობათა დირექტორმა უილიამ გალიარდმა, მაგრამ თავიდან საუბარი ასე წარმართა — ვფიქრობთ, ეს დიდებულია და იმის დამამტკიცებელია, რომ ფეხბურთი მოულოდნელობებით სავსე სპორტია — დარწმუნებულნი ვართ, რომ ქომაგები ამას აფასებენ და ამიტომაც გვყავს საოცრად დიდი აუდიტორია“.

აუდიტორიასთან დაკავშირებით იმ მაგალითის მოტანა შეიძლება, რომ ლისაბონში გამართულ პორტუგალია — ჰოლანდიის ნახევარფინალურ შეხვედრას ჰოლანდიაში 8,5 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს. ეს ამ ქვეყნის მაყურებელთა 86,9 პროცენტია. პორტუგალიელი ტელემაყურებლის რაოდენობა გახლდათ 3,8 მილიონის ტოლი, რაც 85,4 პროცენტი გახლავთ.

„იმავდროულად, აუცილებლად გასარკვევია, რატომ ვერ ვხედავთ დამაგვირგვინებელ ეტაპზე ისეთ დიდ ფეხბურთელებს, როგორებიც, მაგალითად, არიან ზინედინ ზიდანი, დეივიდ ბექემი ან რაული. იქნებ საჭიროა დაველაპარაკოთ ჩვენს პარტნიორებს, ლიგების და კლუბების წარმომადგენლებს, რათა ერთად შეკამუშავოთ გარკვეული ლიმიტი იმისა, თუ რამდენ თამაშში უნდა მიიღოს ერთმა ფეხბურთელმა მონაწილეობა წლის განმავლობაში. ვიმეორებ, ჩვენთვის და პუბლიკისთვის სულერთია, ვინ გახდება ჩემპიონი, მაგრამ კითხვა დაღლის შესახებ უნებლიედ გვიჩნდება“ — დასძინა შემდეგ დირექტორმა და ეჭვი არ შეგეპაროთ, ეს მთლიანად უეფას შეკითხვად რომ უნდა მივიჩნიოთ.

პაპუნა კედია



არაგონესის სადოქტორო

რატომ არის ესპანეთი გაჩხერილი ბრაზილიასა და გერმანიას შორის

გუშინაც გაუწყეთ, რომ ინაკი საესის გადადგომის შემდეგ 2006 წლამდე ესპანეთის ნაკრებს ლუის არაგონესი უთავკაცებს. სახელოვანი „ელ საბიო" (მეცნიერი) პირენეებზე ყველაზე უხუცეს და წარმატებულ საკლუბო მწვრთნელად ითვლება. არაგონესის დებიუტი მშობლიურ „ატლეტიკოში" სამოცდაათიანი წლების შუაში შედგა და პირველივე სეზონი (1974-75) „თეთრ-ალისფერი" გვარდიის საპრიმერო ჩემპიონობით დაამთავრა. გარდა „ათლეტებისა", არაგონესი ოცდაათწლიანი კარიერის განმავლობაში „ბეტისს", „ბარსელონას", „სევილიას", „ვალენსიას", „ოვიედოსა" და „მალიორკას" წვრთნიდა. მისი საკლუბო მონაგართა სიაც საკმაოდ შთამბეჭდავია. პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა, ოთხჯერ ესპანეთის სამეფო თასი, საკონტინენტთაშორისო თასი და ესპანეთის სუპერთასი — აი, ის ტიტულები, რომლებითაც „ელ საბიოს" ღირსეულად შეუძლია იამაყოს. მადრიდულ „ასსთან" ინტერვიუში ლუის არაგონესი ესპანეთის ეროვნული გუნდის მომავალზე იმედიანად საუბრობს

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ნაკრების მწვრთნელობა მოგილოცოთ და დიდი გამარჯვებები გისურვოთ. ფედერაციიდან როდის შეგატყობინეს ეს ამბავი?

— მოლოცვისთვის მადლობას მოგახსენებთ. ფედერაციის პრეზიდენტი პირველ ივლისს, საღამოს ექვს საათზე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელად სხვებს მე მამჯობინეს.

— თქვენ ხანგრძლივი სამწვრთნელო საქმიანობით დაიტრაბახებთ, რას ნიშნავს ლუის არაგონესისთვის ნაკრების თავკაცობა?

— უზარმაზარ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სპეციალისტი, ნაკრების სათავეში მოსვლას დიდ პატივად ვთვლი და მეამაყება, რომ ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს გავწვრთნი.

— როგორ შეაფასებდით ჩვენი გუნდის ბოლოჟამინდელ წარუმატებლობებს...

— რატომღაც, ისტორიულად დიდ ტურნირებში ბედი არ გვწყალობს. მხოლოდ 1964 წლის ევროთასი მოვიგეთ და 1984 წლის ტურნირის ფინალში გავედით. თუმცა ამის გამო სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ — საერთოდაც უკეთესი იქნება, ზემოთ ნახსენები ბედნიერი ეპიზოდები უფრო ხშირად გავიხსენოთ, ვიდრე რომელიმე საწყენი დამარცხება. ახლა ახალგაზრდა გუნდი გვყავს, ძალიან ნიჭიერი ბიჭებით დაკომპლექტებული და ევრო 2004-ზეც ჩვენი ქომაგის მასობრივმა ჩასვლამ ამ ნაკრებისადმი ხალხის სიმპათიები დაადასტურა. ვეცდებით, ინჩასებს იმედები არ გავუცრუოთ.

— თქვენი აზრით, რა აკლია ესპანეთის ნაკრებს დიდ ტურნირებზე მნიშვნელოვანი თამაშების მოსაგებად?

— ჩვენი ფეხბურთი ძლიერია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ბრაზილიელებისნაირი ტექნიკა გვაქვს და ვერც გერმანელებს გავუტოლდებით ფიზიკურ მომზადებაში— ესპანეთის ნაკრები თავის მონაცემებითა და სტილით ზუსტად ამ ორი გუნდის შუაში მერყეობს. წინ რთული და დამღლელი სამუშაო გველის, წარმატების მისაღწევად ალბათ, თითქმის ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს. სამაგიეროდ, თუ ყველამ ერთობლივად იშრომა, ლუის არაგონესის პროექტი გაამართლებს. ჩემი ოცნება ეროვნულ გუნდზე ბრაზილიელებივით ან არგენტინელებივით ფანატიკურად შეყვარებულ ესპანელ ინჩასთა ხილვაა.

— და ამ საყოველთაო სიყვარულს როგორ უნდა მივაღწიოთ?

— ამ კითხვაზე უკვე მიიღეთ ჩემგან პასუხი — ერთობლივი და შეთანხმებული ქმედებით. ფეხბურთელები უნდა დარწმუნდნენ, რომ ნაკრები მათ ცხოვრებაში უმთავრესია და ყველა მოთამაშემ მოედანზე შესაძლებლობათა მაქსიმუმი უნდა გაიღოს. ცხადია, მობურთალთა უმრავლესობიდან დიდებულ საშემსრულებლო ოსტატობას არავინ ელის, თუმცა სწორედ მუშა ფეხბურთელთა გარჯაზე იქნება დამოკიდებული გუნდში საჭირო წონასწორობის შენარჩუნება. ჩემთვის ყველაზე მთავარი წესრიგია, მაგრამ სქემებზე გამოკიდებასაც არ ვაპირებ, ბიჭებმა თავდასხმაშიც და დაცვაშიც ზომიერი იმპროვიზაცია არ უნდა დაივიწყონ.

ევროპამ აზია შემოიერთა

ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ ევროპას რომ არ ეკუთვნის, ცხადია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ პირველობის ოფიციალური საინტერნეტო საიტი ***EURO2004.COM*** *ევროპული ენების გარდა იაპონურად და ჩინურადაც არსებობს, მაგრამ ყველაზე საოცარი და თვალნათლივი ძალიან ბევრისთვის აი, რა გახლავთ: მაშინ, როდესაც ევროპაში საღამოა და „ბებერი კონტინენტი" ტელევიზორს მიჯდომია, აზიაში გვიანი ღამე, ალაგ-ალაგ კი ალიონიცაა, გულშემატკივარი კი ეკრანს ევროპელზე არანაკლებ უზის*



უეფას სამაუწყებლო უფლებათა აგენტი აზიაში ამბობს: „დროში დიდი სხვაობის მიუხედავად, ქომაგები თამაშებს თვალს ადევნებენ და, ფაქტობრივად, არ სძინავთ. ტრანსლაციების განაწილება კი იმის მიხედვითაა, თუ რომელ ქვეყანაში როგორი ფეხბურთი იციან და უყვართ. მაგალითად, იაპონიაში ძალიან პოპულარულია პრემიერლიგა და დევიდ ბექემი, ინდონეზიაში კი უფრო სერია A აინტერესებთ და ამიტომ იტალიის ნაკრების შეხვედრები ჰქონდათ ნაყიდი. თუმცა ჯამში, ყველა დიდ აზიურ ქვეყანაში ოცდათერთმეტივე მატჩი გადაიცემა. აუდიტორია კი ძალიან დიდია. კერძოდ, იაპონიაში მაქსიმალური აუდიტორიის ხუთი პროცენტი ერთგულად უყურებს ევრო 2004-ს, მაშინ როდესაც დღე-ღამის ამ დროისთვის მაყურებლის რაოდენობა მხოლოდ 2 პროცენტი უნდა იყოს".

საინტერესოა ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორის, ჰუანგ ჯიანშანგის მოსაზრებაც: „ის ადამიანებიც კი, ფეხბურთის ყოველ შაბათ-კვირას ცქერა ჩვევად რომ არ აქვთ, ევრო 2004-ის შეხვედრებს დაკვირვებით უცქერენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე დღეს სამსახურში და მეგობრებთან რაზე უნდა ილაპარაკონ? ჩვენში ევროპის ჩემპიონატი დიდ სოციალურ და კულტურულ მოვლენად იქცა".

დაახლოებით ამგვარი რაღაც ხდება სინგაპურშიც. „კოფიშოპები" ერთმანეთს კლიენტებს ტელევიზორების დადგმით და მათი ხარისხით თუ რაოდენობით ართმევენ, ამბობენ, რომ ზოგიერთ ადგილებში ხალხის 30-პროცენტიანი ნამატი აქვთ.

როგორც არხი „ნიუსაზია" იტყობინება, ევროპის პირველობიდან ინგლისის გავარდნამდე სინგაპურში ძალიან დიდი გასავალი ჰქონდა რუნის მაისურას, რომელიც 115 იქაური დოლარი ღირდა, რაც დაახლოებით 55 ევროს ტოლია. ერთი სიტყვით, რამდენადაც ინგლისელების გავარდნა პორტუგალიელებს გაუხარდათ, იმდენად ეწყინათ აზიელ მოვაჭრეებს.

საინტერესო ამბავი გახლდათ ისიც, რომ უკვე თენდებოდა, ტელევიზიით ინგლის — ხორვატიისა და საფრანგეთ — შვეიცარიის ტრანსლაციები გადაიცემოდა, როდესაც კომპიუტერებჩართულ და გაგანია მუშაობაში მყოფ სინგაპურულ ტოტალიზატორებს პოლიციელთა რაზმები დააცხრათ თავს. ადგილობრივი სააგენტოები იტყობინებიან, რომ პოლიციელებმა თითოეულ მატჩზე დადებული დაახლოებით 1,3 მილიონი ევროს ტოლფასი ფული იპოვნეს და იქვე ნახეს 170 ათასამდე ასული ინდივიდუალური ფსონიც. პოლიციელებმა ხუთი ლეპტოპი (ჩანთა-კომპიუტერი), ოთხი სატელიტური დეკოდერი, 19 მობილური და ორი პრინტერი დააპატიმრეს.

რაც შეეხება ბერძნებს და ავსტრალიაში მათ თვალუწვდენელ დიასპორას, ამაზე ადრე გვეწერა და აღარ გავიმეორებთ.

პაპუნა ძედია

ფეხბურთის რუკასთან



იტალიური „რომა" დიდ სატრანსფერო გაწამაწიაშია. კლუბმა თითქმის მოაგვარა „პარმადან" მცველ მატეო ფერარის გადაბირების საკითხი და როგორც იქაური პრესა იუწყება, პარმელები ფერარის სანაცვლოდ 2 მილიონ გირვანქას და რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს (მეკარე ძოტი და მცველი ბოვო) მიიღებენ. ამასთანავე, „რომამ" ამსტერდამის „აიაქსის" ფინელ მცველ პეტრი პასანენსაც დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა, პასანენის სატრანსფერო ფასი დაახლოებით 4 მილიონი ევროა. გუშინ კი, რომაელთა გენერალურმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ ოფიციალურად დაადასტურა, კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი გუნდში რჩებაო.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია უკვე ოლიმპიადაზე ფიქრობს და კრისტინო რონალდოს ნაკრებში მიწვევა სურს. ამას კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება „მანჩესტერ იუნაიტედი", რადგანაც თუ ახალგაზრდა ნახევარმცველი აგვისტოში ოლიმპიადაზე წავა, მას პრემიერლიგის საწყისი ტურების გამოტოვება მოუწევს.

იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ კლაუდიო ჯენტილეს ოლიმპიადაზე ფრანჩესკო ტოტისა და ანტონიო კასანოს წაყვანა სურს, მაგრამ „რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი წინააღმდეგია. „მათი მიწვევა ასეთ პრესტიჟულ და დამღლელ ტურნირზე აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს კლუბზე და ჩვენს ჩავარდნასაც გამოიწვევს. ეს კი დაუშვებელია და ყველანაირად ვეცდები, „რომას" ლიდერები ოლიმპიადაზე არ გავუშვა" — თქვა სენსიმ.

ინგლისურმა „ჩარლტონმა" დანიის ნაკრების ნახევარმცველი დენის რომედალი „პსვ ეინდჰოვენიდან" 2 მილიონ გირვანქად გადაიბირა. რომედალმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დანიელის გარდა „ჩარლტონს" თავისუფალი აგენტის სტატუსით ყოფილი ბირმინგემელი ბრაიან ჰიუზიც შეუერთდა.

ინგლისური „ჩელსი" მზადაა, არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო ერთი წლით უფასოდ „მილანში" გაანათხოვროს. ბრიტანული პრესის ცნობით, 29 წლის ფორვარდი ჟოზე მაურინიუს გეგმებში არ შედის. „მილანში" გადასვლა თურმე კრესპოსაც სურს, მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან კვლავაც სიამოვნებით ვიმუშავებო.

იტალიური „იუვენტუსის" ახალ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ძალიან სურს, გუნდში ჩეხები — მცველი მარეკ იანკულოვსკი და გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი იხილოს. მედიის აზრით, „უდინეზესთან" მოლაპარაკებები შესაძლოა, გაჭირდეს. აი, როსიცკიმ კი დორტმუნდის „ბორუსიას" შეფებს უკვე უთხრა, გუნდიდან გამიშვითო.

ინგლისის ჩემპიონმა, ლონდონის „არსენალმა" ამსტერდამის „აიაქსიდან" ტუნისელი მარჯვენა მცველი ჰატემ ტრაბელსი გადაიბირა. „მეთოფეებს" ტრანსფერი სულ რაღაც, 3 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. ტრაბელსი მომავალ კვირას ჩავა ლონდონში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც მაშინ გააფორმებს.

eurofan2004@hotmail.com

გუშინ დილას უფალი რედაქტორი დამადგა თავზე, დაწერეო. მე რა უნდა დავწერო, სხვებმა დაწერონ და მე დავბეჭდავ-მეთქი – ვუპასუხე. დაიჟინა, დღეს ასე ვქნათ, შენ თვითონ მისწერე EUROFAN2004-ს წერილიო და თვალებიც დამიბრიალა, იცოდე, ვრცელი წერილი უნდა იყოსო. გამიჩნდა თავსატეხი. აქამდე როგორ იყო – ამოვბეჭდავდი თქვენს წერილებს, ოპერატორს ვუკარნახებდი, ერთი-ორ სმეშნოი კომენტარს გავუკეთებდი და მივდიოდი სახლში. ახლა კი უნდა დავჯდე და წერილზე ტვინი ვიჭყლიტო. მაგრამ რა გაეწყობა, რედაქტორის სიტყვა კანონია. მოკლედ, ვაკეთებ იმას, რასაც საკუთარი სურვილით არასდროს გავაკეთებდი, საკუთარ თავს წერილს ვწერ. ეს რა დრო დამიდგა?

შეკვეთილი წერილი

სიტყვა გაიაფდა, სიგარეტი გაძვირდა

გამარჯობა „სარბიელო" და სარბიელელებო!

ბულგარეთის ნაკრების იმ ერთ გოლს გეფიცებით, ძალიან მაგრები ხართ, თქვენ რომ წერთ, ეგრე ვერავინ წერს მსოფლიოში. ეგრე არ არის? აბა, თქვენს გარდა ვინ დაწერდა ასეთ ფრაზას: იაპ სტამს თამაშის დროს შარდის ანალიზი აუღესო. სამი წლის წინ დაწერა თქვენმა ჟურნალისტმა და მერე რედაქტორმა ამოიღო. ან ის როგორ იყო: დაკარგული არაფერია, რადგან ყოველივე კომპაქტურია. მთელი კვირა ვიფიქრე, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი. ან კიდევ ის, გული რომ გამიხეთქეთ, გენერათ, ფერნანდო იერო „მილანში" გადავიდაო. მერე მივხვდი, ფერნანდო რედონდოს გულისხმობდით. მოკლედ, ძალიან მაგრები ხართ, რაღა თქვენ და, რაღა ერთი კომენტატორი, ერთხელ რომ თქვა, სიმაო სარბოსა „სპორტინგის" ახალგაზრდული პროექტის პროდუქტიაო. რა, დიმაზე იფიქრეთ? არა, იმას არ უთქვამს, სხვამ თქვა.

რაღაც მისალმება გამიგრძელდა და ახლა საქმეზე გადავალ. ევროპის ჩემპიონატის გარშემო ტრიალებთ არა? იტრიალეთ, მე კიდევ დავწერ, რომ ძალიან მაგარი ჩემპიონატია და სწორედ იმიტომ, რის გამოც ზოგიერთებს არ მოსწონთ. ეგ რა არისო, იტალია გავარდაო, ინგლისი გავარდაო, გერმანია გავარდაო, ესპანეთი გავარდაო, საფრანგეთი გავარდაო, ჰოლანდია გავარდაო, ჩეხეთი გავარდაო. აბა, თქვენ რა გინდოდათ, ყველა ერთად უნდა გამხდარიყო ჩემპიონი? ჰო, კინაღამ დამავიწყდა, დანიაზეც შეიცხადეს, გავარდაო.

მე თუ მკითხავთ, ძალიანაც კარგი, რომ გავარდნენ, იმიტომ, რომ არ შეიძლება, ჩემპიონთა თასს ყოველ წელს „რეალი" იგებდეს, ევროპის ჩემპიონატს კი გერმანია, იტალია და საფრანგეთი რიგრიგობით. აბა, რა გამოდის, შეჯიბრი არ დაწყებულა და უკვე იცი, ვინ რომელ ადგილზე გავა. მაინცდამაინც შოტლანდიის ჩემპიონატს უნდა დაემსგავსოს ევროპული ფეხბურთი? გაუშვით, მოიგონ პატარებმაც და გაიხარონ. თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, საქართველომ ვერასდროს უნდა ითამაშოს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ხომ გახსოვთ, რომ იძახდნენ, საქართველომ ინგლისს და გერმანიას როგორ უნდა მოუგოსო, როგორ და აგერ, ხომ ჩატოვა ლატვიამ ჯგუფში გერმანია?

თუმცა გადავუხვიე. იმის თქმა მინდოდა, რომ ყველაფერი კანონზომიერად მიდის, ოღონდ ეს კანონზომიერება რომ დაინახო, ცოტა უნდა დაფიქრდე. ვთქვათ ძმებო, ესპანეთზე. ვიცოდი, ჯგუფში რომ ჩარჩებოდა, საიდან? ჩემი მეგობარია ონისე, უბრალო კაცი არ გეგონოთ, მაზავიკია და ყველაფერი იცის. იმან მითხრა, მაგ ესპანეთის ნაკრებში ბასკები კატალონიელებს ვერ იტანენ, კატალონიელები ბასკებს, ორივეს კი მადრიდელები არ ევასებათ, სამივეს კიდევ გალისიელებიო.

მაგიტომაც არის, რომ ცალ-ცალკე მაგრები არიან, მაგრამ ნაკრებში ერთმანეთს ჭამენ და ვერაფერს იგებენო. რა, ეგრე არ არის? იტალიაზე კი ონისემ მითხრა, სანამ თმას ქალაქურად არ შეიჭრიან და ბრიოლინსაც არ გადაეჩვევიან, ჯგუფიდან ვერ გავლენო. ეგეც ხომ ეგრე მოხდა? და ნუ დამიწყებთ ახლა, დანია — შვედეთს 2:2 რომ არ ეთამაშათო... ეგრე ძმებო, ყველაფრის თქმა შეიძლება: გუშინწინ კოლინას კოლერზე პენალტი რომ მიეცაო, იქ ვიღაცას ძელისთვის რომ არ გაერტყაო, იმას ბუცი რომ არ უჭერდესო და ასე შემდეგ. ბებიაზე ანეკდოტი ხომ მოგისმენიათ?





კარგია, რომ გავარდნენ

ისე, ბედი რომ არა მაქვს?! ესპანეთის, გერმანიისა და იტალიის ჯგუფში ჩარჩენაზე მედო ფული და მოვიგე, მაგრამ რად გინდა, საფრანგეთმა ყველაფერი წამაგებინა. ჯერ საფრანგეთ — შვეიცარიის პირველი ტაიმის ერთიანზე მქონდა დადებული და წავაგე, დანარჩენი ფული კი საფრანგეთ — საბერძნეთის ერთიანზე. მოკლედ, დავრჩი უკაპიკოდ.

აუ, ისევ გადავუხვიე, კანონზომიერებაზე ვწერდი. გერმანია არ უნდა ჩარჩენილიყო? გუნდი ერთი თავდასხმელით თამაშობს და იმასაც დაგინებული აქვს, კარში არ უნდა დავარტყაო. აბა, მე დავარტყამდი მაგის მაგივრად? ის სისულელე კი რომელმა თქვა, თამაში 90 წუთი გრძელდება და ბოლოს გერმანია იგებსო?

ეს ყველაფერი ძმებო, ქალაქურად ვთქვი. მეცნიერულად რომ ვილაპარაკო, ის თქვენი ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები და ფრანგები, დაითვალეთ, სეზონში რამდენ და როგორ მატჩებს თამაშობენ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რომ ამბობდა ფრანგთა ექიმი, ფეხბურთელებს ვარჯიშებზე ძინავთ, ისე აქვთ არაქათი გამოცლილიო, ხომ გახსოვთ? და რა, ამ ევროპაზე რამე შეიცვალა? არსენალელებმა ისევ არ შეაკლეს თავი პრემიერლიგას და ზიდანმა არ ითამაშა ყველას მაგივრად „რეალში"? სხვებზეც იგივეს თქმა შეიძლება. ოღონდ ახლა არ მითხრათ, „პორტუს" ფეხბურთელებმა ჩემპიონთა ლიგაში ხომ ბოლომდე იბრძოლეს და ახლა ევროპის ფინალშიც გავიდნენო. გიპასუხებთ, ის პორტუელები მთელი სეზონი „ლეირიას" და „რიუ ავეს" ეთამაშებოდნენ და ისე უგებდნენ, ოფლს არ ღვრიდნენ.

და მთავარი — მწვრთნელი, რომელიც, ბოდიში მუსიე ჟირესთან და ჩვენს გარდა ყველას ჰყავს.

მომკალი და, არ მჯერა ამ ფრანგის. კარგი კაცია, ჯიგარი, დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მწვრთნელობისას რა გაუკეთებია? გეტყვით რაც: დედა უტირა პსჟ-ს. კაცო, ეს წარსულში დიდი ფეხბურთელები ჩვენი არ გვეყო, ფრანგებს რომ მივადექით?

მოკლედ, რაღაც აბდაუბდა წერილი გამომივიდა, მაგრამ უკეთესი ვერ დავწერე. ჩვენს რუბრიკას მეტი არც მოეთხოვება. აბა, ჰე.

ვებმასტერი ბუარა

P.S. ჩემო სარბიელელებო, რა იქნება, რომ ყოველ წუთს არ შემოყოთ ჩემს ოთახში თავი, სიგარეტი მომაწევინეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტი

პრაღის ცენტრალურ მოედანზე ჩამოგლიჯეს
კარელ ბრუკნერის უზარმაზარი პოსტერი
და მასზე დაიარეზიან,ასეა,ვერ მოიგებ,დაგაბიჯებენ

სტადიონზე ბერძნების ღრიალს
ერთი ხმა ელადიდანაც შეუერთდა

ბერძენმა მაყურებელმა
ისტორია გაიხსენა

ვაი კოლერს და ვაი ბაროშს:
ვერ გაიტანეს და გაუტანეს



კოლინა და ნედვედი
ერთად წავიდნენ:
ნედვედი ამ ევროპის
ჩემპიონატიდან,
კოლინა კი დიდი
ფეხბურთიდან.
კოლინა თებერვალში
45 წლისა ხდება და
უმაღლესი დონის
მატჩების
მომსახურება
აეკრძალება



სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		4 ივლისი						
22.45	031	პორტუგალია-საბერძნეთი	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03

I ტაიმის შედეგი

		4 ივლისი						
5031		პორტუგალია-საბერძნეთი	2,1	2,05	5,3	1,03	1,5	1,47

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა. XIII ტური						
		3 ივლისი						
18.00	463	ბრაგე-ფრიოლუნდა	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
18.00	464	ბრომაპოიკარნა-ფრისკა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	465	გეფლე-ვესტეროსი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	466	ატვიდაბერგი-იოსტერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	467	ენჩიოპინგი-ჰეკენი	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
20.00	468	ასირისკა-ფალკენბერგი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
20.00	469	ნორჩიოპინგი-გაის	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		ნორვეგია. ტიპელიგა. XIV ტური						
		4 ივლისი						
18.00	470	ლინი-მოლდე	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
18.00	471	ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
18.00	472	სტაბეკი-ოდ გრენლანდი	2,25	3,3	2,8	1,33	1,24	1,51
18.00	473	ვიკინგი-ტრომსიო	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
18.00	474	ჰამარი-სოგნდალი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
18.00	475	ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
		5 ივლისი						
21.00	476	ბრანი-რუსენბორგი	3,5	3,4	1,85	1,72	1,21	1,19
		ნორვეგია. I დივიზიონი. XV ტური						
		4 ივლისი						
18.00	479	ალესუნდი-მოსი	1,45	4,2	5,3	1,07	1,13	2,34
18.00	480	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
18.00	481	ჰიოდი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
18.00	482	მანდალი-სანდეფიორდი	2,8	3,6	2,05	1,57	1,18	1,3
18.00	483	ჰორს გრენლანდი-ბრინი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
18.00	484	სკეიდი-ჰიონეფოსი	2,1	3,6	2,7	1,32	1,18	1,54
18.00	485	სტრიომსგოდსეტი-სტარტი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
18.00	486	ტრომსდალენი-რაუფოსი	2,7	3,8	2,0	1,57	1,14	1,31
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XII ტური						
		5 ივლისი						
19.30	497	ჰაკა-კტპ	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
19.30	498	ჰაამეენლინა-ინტერი	4,0	3,3	1,75	1,8	1,21	1,14
19.30	499	ჯაზი-ალიანსი	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
19.30	500	ჰიკ-ტურკუ	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
19.30	501	როვანიემი-ლაჰტი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIX ტური						
		3 ივლისი						
22.30	511	ლონგფორდი-ბოჰემიანი	3,1	3,1	2,1	1,55	1,25	1,25
		რუსეთი. პრემიერლიგა. XIV ტური						
		3 ივლისი						
16.00	514	როსტოვი-ზენიტი	3,1	3,0	2,1	1,52	1,25	1,23
16.00	515	როტორი-რუბინი	2,4	2,9	2,8	1,31	1,29	1,42
16.00	516	სატურნი-ამკარი	1,55	3,3	6,0	1,05	1,23	2,12
16.00	518	კრილია-კრილია	1,55	3,3	5,6	1,05	1,21	2,07
16.00	519	ყუბანი-დინამო	2,6	2,8	2,6	1,34	1,3	1,34
16.00	520	ცსკა-ტორპედო	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
		ბრაზილია. სერია A. XII ტური						
		3 ივლისი						
23.00	523	ატლეტიკო პრ-ჟუვენტუდი	1,75	3,1	4,4	1,11	1,25	1,81
23.00	524	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.00	525	ინტერნასიონალი-კრიციუმა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
23.00	526	სან პაულუ-პონტე პრეტა	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
24.00	527	ვიტორია-გოიასი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
01.00	528	ფლუმინენსე-გრემიო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
01.00	529	გუარანი-ატლეტიკო მნ	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		4 ივლისი						
23.00	530	პარანა-პალმეირასი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
23.00	531	სან კაეტანო-ბოტაფოგო	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
23.00	532	კორინთიანსი-სანტოსი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
01.00	533	კრუზეირო-კურიტიბა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
01.00	534	ფლამენგო-პაისანდუ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
		აშშ. MLS. XIV ტური						
		3 ივლისი						
01.00	538	ვაშინგტონი-ნიუ იორკი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
03.30	539	კოლამბუსი-ჩიკაგო	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
04.30	540	კანზასი-დალასი	1,75	3,1	4,4	1,11	1,25	1,81
		4 ივლისი						
05.30	541	კოლორადო-ნიუ ინგლენდი	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74
06.00	542	ლოს ანჯელესი-სან ხოსე	2,1	3,0	3,3	1,23	1,28	1,57
		ინტერტოტოს თასი						
		3 ივლისი						
17.30	549	ვოლფსბურგი-თუნი	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
18.00	550	ვარდარი-ვენტი	2,05	3,2	3,1	1,24	1,23	1,57
18.00	551	ესბიერგი-ნიცა	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
18.00	552	ჰიბერნიანი-ვეტრა	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
19.00	553	სლავენი-ვლაუნია	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
19.00	554	დუბნიცა-ლიბერეცი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
17.00	555	სპარტაკი-კამენი	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
19.00	556	ტეპლიცე-შინიკი	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
21.00	557	ტრნავა-სლობოდა	1,55	3,6	4,8	1,08	1,17	2,05
21.30	558	ნაიმეგენი-კორკი	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
22.00	559	ვესტერლო-ზლინი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
22.00	560	ოდენსე-ვილიარეალი	2,7	3,1	2,3	1,44	1,24	1,32
		4 ივლისი						
19.00	561	დინამო(მნ)-სარტიდი	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
19.30	562	ოფკ-დინაბურგი	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
20.00	563	გენკი-მარეკი	1,35	4,0	7,0	1	1,13	2,54
20.00	564	ტამპერე-ხაზარი	1,2	4,8	8,0	1	1,04	3

შემდეგ ეტაპზე გასვლა

	4 ივლისი		
7031	პორტუგალია-საბერძნეთი	1,27	3,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შცონი გაგებულად ჩაითვლება)

	4 ივლისი		
5431	პორტუგალია-საბერძნეთი	1,5	2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	4 ივლისი									
5131	პორტუგალია-საბერძნეთი	2,3	12,0	35,0	3,5	4,6	10,0	20,0	10.0	9,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	4 ივლისი			
5531	პორტუგალია-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	4 ივლისი		
5331	პორტუგალია-საბერძნეთი	1,8	1,8

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	4 ივლისი		
5231	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	2,1

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

მაგათმა კალაძე ახსენა

კახას უკვე ფასი დაადეს: 4 000 000€

კახა კალაძე შესაძლოა ჰასან სალიჰამიჩიჩის თანაგუნდელი გახდეს

იტალიური „მილანის“ ქართველი მცველის კახა კალაძის მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლაზე მითქმა-მოთქმა გრძელდება. პოპულარული გერმანული გამოცემა „ბილდი“ დაჟინებით აცხადებს, მიუნხენელებს კალაძის შეძენა სურთ და საამისოდ ფულს არ დაინანებენო. ამასობაში „მილანის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქართველ ფეხბურთელს 4 მილიონ ევროზე ნაკლებად არ დათმობენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, გერმანელები კალაძეში ფრანგ მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს შემცვლელს ხედავენ და თუ ეს აქამდე მხოლოდ გაზეთებიდან ვიცოდით, გუშინ სულაც „ბაიერნის“ თავკაცმა ფელიქს მაგათმა გააკეთა კომენტარი: „კალაძე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრანსფერებზე ლაპარაკი მე არ შემიძლია. კლუბის ხელმძღვანელობა უკეთ გაგარკვევთ ყველაფერში“.

ასე რომ, ეს საქმე ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ წინ მიიწევს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

კახა ზალამბერიძე

მარის ვერპაკოვსკისზე ივნისის საუკეთესოობა ალალია

ივნისი: მარისი

ივნისიც გაილია და რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვის შედეგები შეაჯამა. გამოკითხვაში საქართველოდან ამჯერად „მთავარი გაზეთი სპორტი“ მონაწილეობდა.

მარის ვერპაკოვსკისი ივნისის გამარჯვებულია. ლატვიელთა ფეხმალი თავდამსხმელი თითქმის უკონკურენტო იყო გასულ თვეში. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ივნისში საუკეთესოდ მთლიანად ლატვიის ნაკრები დასახელებულიყო, თუმც თუ მართლა გამორჩეულებზეა ლაპარაკი, ვერპაკოვსკისი ამას ნაღდად იმსახურებს.

ვერპაკოვსკისს პირველობაში მისივე თანაგუნდელი, მეკარე ალექსანდრ კოლინკო ეცილებოდა, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს, თუმც უმეტესად „როსტოვის“ სათადარიგოა, ევროპის ჩემპიონატზე კი... ალბათ, შეხსენება არც გჭირდებათ.

მესამე ადგილზე რუსთა მარადი ჯილა ალექსეი სმერტინი გავიდა, რასაც, თქვენი ნებართვით, კომენტარს არ გავუკეთებთ და ზოგადად ვიტყვით, რომ ლაურეატთა შორის ოთხი ლატვიელი, სამი რუსი და ერთიც ბელარუსი მოხვდა.

ლატვიელ-რუსთა სიმრავლე გასაგებია, აი, ბელარუს ვალენტინ ბელკევიჩს კი კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში უკრაინის ჩემპიონობა თუ დაეკვეხნება. საინტერესოა ისიც, რომ ბელკევიჩისთვის ივნისი სხვა მხრივაც გამოირჩა — კიეველთა კაპიტანმა უკრაინულ პოპ-ჯგუფ „ვიაგრას“ აწ უკვე ყოფილი სოლისტი, სექსვოგო ანია სედაკოვა შეირთო ცოლად.

ბახა ზალამბერიძე

СПОРТ ЭКСПРЕСС

საერთო ჩათვლა იანვარი — ივნისი	
მევჩენკო (უკრაინა)	294
კარპინი(რუსეთი)	150
სმერტინი (რუსეთი)	138
ვერპაკოვსკისი (ლატვია)	132
ალენიჩევი (რუსეთი)	98
კოლინკო (ლატვია)	62
სიჩოვი (რუსეთი)	60
გლები (ბელარუსი)	58
კარიაკა (რუსეთი)	47
ესიპოვი (რუსეთი)	37
ДАРАСЕЛИА (საქართველო)	36
პანოვი (რუსეთი)	36
მალაფეევი (რუსეთი)	32
ГАХОКИДЗЕ (საქართველო)	31
რომაშჩენკო (ბელარუსი)	28
АРВЕЛАДЗЕ (საქართველო)	25
მოსტოვოი (რუსეთი)	24
ოვჩინიკოვი (რუსეთი)	24
კერჟაკოვი (რუსეთი)	20
ИАШВИЛИ (საქართველო)	18
ვორობეი (უკრაინა)	16
იანკაუსკასი (ლიტვა)	16
პეტროსიანი (სომხეთი)	15
პროხორენკოვსი (ლატვია)	13
რუბინსი (ლატვია)	12
ბელკევიჩი (ბელარუსი)	10
ბუგაევი (რუსეთი)	5
კალნინში (ლატვია)	3

სპორტ-ექსპრესის გამოკითხვა

თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

ივნისი						
მარის ვერპაკოვსკისი (ლატვია)	9	5	2	-	-	71
ალექსანდრ კოლინკო (ლატვია)	5	8	1	1	-	62
ალექსეი სმერტინი (რუსეთი)	1	2	2	7	2	35
ვიაჩესლავ მალაფეევი (რუსეთი)	1	-	7	2	2	32
ანდრეი პროხორენკოვსი (ლატვია)	-	-	2	2	3	13
ანდრეი რუბინსი (ლატვია)	-	-	1	3	3	12
ვალენტინ ბელკევიჩი (ბელარუსი)	-	1	-	1	4	10
ალექსეი ბუგაევი (რუსეთი)	-	-	1	-	2	5

პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1

დახურული ქართველი აეროპორტიდან

მას ინტელექტუალი კერპი სჭირდება

ალექსანდრე რონდელი საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი გახლავთ, გარდა ამისა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი და ზოგადად რომ ვთქვათ, საინტერესო პიროვნება. რონდელს მეტწილად ევროპის ჩემპიონატზე ვესაუბრეთ, თუმც არა მხოლოდ — ფეხბურთი, სოციალური ასპექტები, პოლიტიკა...

— საქართველოს ეროვნული ნაკრები ამ ევროპის ჩემპიონატზე რომ გასულიყო, პორტუგალიაში მიმდინარე ზეიმი უფრო გაფერადდებოდა?

— დავიწყოთ იქიდან, რომ აბსტრაქტულად საქართველოს ეროვნული ნაკრები არ არსებობს. ახლა პატარა ქვეყნების აპოთეოზია ფეხბურთში, დიდი ქვეყნების ტრადიციული ნაკრებები კი ჩამოვარდნენ. თვითდამკვიდრება ყველას სურს და სასიამოვნოა, ასეთი პრეცედენტები რომ ხდება. ქართველები კი საერთაშორისო დონის ხალხი ჯერ ვერ გავხდით. ნახეთ, უცხოეთის აეროპორტებში როგორ დგანან რიგში ქართველები ან როგორ იქცევიან თვითმფრინავში. თუმც, პორტუგალიაში ალბათ წესიერად მოვიქცეოდით. ფეხბურთის ნამდვილი ქომაგი წესიერი ხალხია და არა ბოროტი.

— საქართველოში ბოლო დროს მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები ვერაფერში შეგვეშველება?

— საქმე ისაა, რომ ბოლო დროს ბევრი რამის გადაფასება მოხდა. საბჭოთა ერაში ფეხბურთი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, არ გვქონდა სახელმწიფო და როცა ფეხბურთში სხვა ერის წარმომადგენლებს ვჯობნიდით, ეს ჩვენთვის ყველაფერი იყო. დღეს კი ფეხბურთს აღარ უკავია ჩვენში ასეთივე მაღალი ადგილი, ჩვენ თითქოს დახურულები ვართ, ჩვენი ფეხბურთით თავი აღარსად გამოგვეყოფა. ფეხბურთში ახლა კარგად ჩანს ჩვენი კულტურის ნიშნები — დისციპლინის და პროფესიონალიზმის ნაკლებობა.

— პორტუგალიაში რუსებიც თამაშობდნენ...

— საბჭოთა ფეხბურთს მართლაც ჰქონდა მკვეთრად გამოხატული სახე. ახლა მისგან რუსებს სუბსტანცია დარჩათ, მაგრამ საკუთარი სახე ჯერ არ გააჩნიათ. საბჭოთა ფეხბურთი კი კარგი პილპილით იყო შეზავებული — ქართული და უკრაინული ფეხბურთით. ვფიქრობ, რუსი ფეხბურთელები დღეს უფრო მატერიალისტები არიან, ნაკრებში თამაში მათთვის არცთუ დიდი პრესტიჟია.

— დიდი ქვეყნების ტრადიციული ნაკრებები მართლაც ჩავარდნენ, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ სოციალური ფაქტორია — ინგლისელი თუ გერმანელი მოზარდი ბურთის დევნაზე უფრო განათლების მიღებით ცდილობს კარიერის შექმნას.

— ასეთ შემთხვევაში სტატისტიკურ მაჩვენებლებს უნდა ეყრდნობოდე, თუმც ევროპაში მოგზაურობისას ასეთი რამ ხშირად მესმის — ფეხბურთში მეტწილად უმდაბლესი სოციალური ფენა და ემიგრანტთა შვილები მიდიან. ევროპაში ეს აშკარად ჩანს.

— კერპებზე რას გვეტყვით? როგორ ფიქრობთ, ოტო რეჰაგელს საბერძნეთში გააკერპებენ?

— ვფიქრობ, ბერძნები რეჰაგელს იმას „დააბრალებენ“, რომ მან მათი საფეხბურთო პოტენციალი გახსნა. რეჰაგელი ბერძენი რომ იყოს, ბერძნები მას უფრო მაგრად გააკერპებდნენ, მაგრამ საბერძნეთის ნაკრების წარმატებაში რეჰაგელის წვლილი ძალიან დიდია და რეჰაგელიც ალბათ უკვე მათი, ბერძნების გახდა.

— ჩვენთან არ არის შესაძლებელი, რომ რომელიმე ფეხბურთელი ან მწვრთნელი გააკერპონ?

— ნამდვილი კაპიტალიზმი ჩვენ არ გაგვივლია, სავაჭრო კაპიტალიზმიდან საბჭოთა ფეოდალიზმზე გადავედით და მაშინდელ სისტემაში სპორტს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ახლა ჩვენში დუღილია, რომელშიც სპორტმა თავის ადგილი უნდა დაიკავოს და ასეთ დროს კერპის გამოჩენა ძალიან დადებითია, და თუ კერპი გამოჩნდება, ის ფეხბურთელი თუ იქნება, რადგან ფეხბურთი მაინც სხვა არის, ვიდრე დანარჩენი სპორტი. მაგრამ ეს კერპი ინტელექტით უნდა გამოირჩეოდეს — ჩვენთვის, ქართველებისთვის ეს ერთობ მნიშვნელოვანია. რატომ იყო დავით ყიფიანი გამორჩეული? იმიტომ, რომ ის გონიერი და დახვეწილი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა ხალხში. კერპი რომ გახდე, მხოლოდ ნიჭი არაა საკმარისი — ხასიათის სიმტკიცეც უნდა გაგაჩნდეს. ერის გამარჯვებაშიც მთავარი ხასიათის სიმტკიცეა, თორემ მხოლოდ ტვინი არ გეყოფა.

დავით თამართქილაძე

შაშიაშვილს ჰაიდუკი და ლიგა უნდა

გაფრი ჯეიმლაძის ფოტო

ხორვატიის ჩემპიონ სპლიტის „ჰაიდუკს“ „დინამოს“ ექსკაპიტან გიორგი შაშიაშვილის გადაბირება სურს. სპლიტელები უკვე რამდენჯერმე შეეხმიანენ ფეხბურთელს. საქმე ახლა „დინამოზეა“, რომელიც, კულუარული ინფორმაციით, 300 ათას დოლარს და „ჰაიდუკიდან“ შესაძლო ტრანსფერში წილს ითხოვს.

არადა, შაშიაშვილმა „დინამოსთან“ კონტრაქტი სულ ერთი თვის წინ გააგრძელა. მანამდე ის ჰაიდუკელთა წინადადებას ელოდა. ერთი მაღალი დონის მცველი ჰყავთ და თუ ის გაყიდეს, შენ მისი შეცვლა არ გაგიჭირდებაო, უთქვამს შაშიაშვილისთვის დინამოელთა ყოფილ მწვრთნელ ივო შუშაკს. თუმცა გიორგიმ უკლუბოდ დარჩენის შიშით „დინამოსთან“ კონტრაქტი მაინც გააგრძელა. მიუხედავად ამისა, ის ხორვატიაში წასვლის და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის იმედს არ კარგავს.

— ხორვატებს დღესაც ველაპარაკე, მათი პირობებით ძალიან კმაყოფილი ვარ, თანაც გუნდიც ძლიერია — გვითხრა შაშიაშვილმა, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.

— „დინამოში“ რას გეუბნებიან?

— გეგუჩაძემ მითხრა, შენი წასვლით დაცვაში ბევრი პრობლემა შეგვექმნება, გუნდი უკვე აწყობილი მაქვსო.

— კი მაგრამ, შენი კარიერისთვის ხომ ავჯობებს, რომ „ჰაიდუკში“ წახვიდე?

— თუ ჩემი ტრანსფერი ახლა არ გამოვიდა, იმედს მაინც არ ვკარგავ. „დინამოსთან“ კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ექვსი თვის შემდეგ კონტრაქტის დეტალების გადახედვას ითვალისწინებს. ცუდი ისაა, რომ ექვს თვეს დავკარგავ, ამ პერიოდში კი „ჰაიდუკში“ გაშინაურებასაც მოვასწრებდი.

დავით ერაძე

ვიტ ჯორჯია ჰანოვერისთვის ემზადება

ყოჭლაშვილი თავდასხმა-არემბენტენ ბიბლიოთეკა

გაფრი ჯეიმლაძის ფოტო

გერმანიაში მოსამზადებლად მყოფმა საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი ამხანაგური მატჩი უკვე ჩაატარა: ჩვენები რეგიონალიგის „ზონდერჰაუზენს“ 2:2 დაუზავდნენ. გოლები ვლადიმერ გოჩაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ გაიტანეს. „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა გერმანიაში მყოფ ყველა ფეხბურთელს მისცა თამაშის საშუალება. საინტერესო კი ისაა, რომ გუნდიდან მეკარე მირზა მერლანის წასვლის შემდეგ მწვრთნელმა კარი მიხეილ მამარდაშვილს ანდო და, როგორც ჩანს, მომავალ სეზონში ის იქნება ჩემპიონთა ძირითადი მეკარე. საგულისხმოა ისიც, რომ კოჭლაშვილმა „ზონდერჰაუზენთან“ ორი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშა, გოჩაშვილთან წყვილში ერეკლე მერებაშვილი იყო. მოგეხსენებათ, კოჭლაშვილი „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო დროს სამი თავდამსხმელით — ადამია, გოცირიძე, მარცვალაძე — ათამაშებდა, თუმც გოცირიძისა და ადამიას გუნდიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელს, ბუნებრივია, თავდასხმის ხაზში ცვლილებები დასჭირდა.

შემდეგ ამხანაგურ მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ხვალ გამართავს ბუნდესლიგის „ჰანოვერთან“ და როგორც კლუბის მესვეურები ამბობენ, გუნდის ძალა ამ შეხვედრისას უფრო გამოჩნდება. იქამდე კი კოჭლაშვილი შეგირდებს დატვირთვებს არ აკლებს, გუნდი კროსებითურთ დღეში ორჯერ ვარჯიშობს და „ჰაფნართან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. ისე, სიტყვამ მოიტანა და, ფეხბურთელები კენჭისყრის შედეგით ძალიან კმაყოფილები ყოფილან.

კოტა ინასარიძე

ალენ ჟირესი: 15-დან თქვენთან ვარ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი ისაა, რომ გენერალური მდივანი ანდრო აბაშიძე პორტუგალიაში გაემგზავრა — იქ უეფას წევრი ქვეყნების გენმდივანთა თავყრილობაა. ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული კი საქართველოში მალე ჩამოვლენ — 15 ივლისს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებია, რომელშიც „დინამო“ და „თბილისი“ მონაწილეობენ — ამ გუნდებში ნაკრების რამდენიმე წევრი და კანდიდატი თამაშობს და მათ ევროტურნირებზე ჟირესიც გააკონტროლებს.

დაუზარელს დარჩის ეტყვიან


გაფრი ჯეიმლაძის ფოტო

ჯვეტენაძისა და ყაზახეთის მცირე ამბები

34 წლის კახა კვეტენაძემ ამ ზამთარს დატოვა ქუთაისის „ტორპედო“ და კარიერა ყაზახეთში, ჩიმკენტის „ორდაბასში“ განაგრძო. ყაზახეთის ჩემპიონატში ახლახან პირველი წრე დასრულდა და კახაც შვებულებით ქუთაისში ჩამოვიდა

— კახა, როგორ აღმოჩნდი ყაზახეთში?

— ყაზაზეთში აგენტის დახმარებით გავემგზავრე. დაახლოებით ერთი თვე „ორდაბასში“ ვივარჯიშე და კლუბის ხელმძღვანელობამ ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმა.

— იქაურ ფეხბურთს თუ შეეგუე?

— თავიდან უვარჯიშებელი ვიყავი და ძალიან გამიჭირდა, დიდი დატვირთვები იყო, თუმცა მალე შევეგუე.

— რამდენი მატჩი და რა პოზიციაზე ითამაშე?

— თითქმის ყველა მატჩი ვითამაშე. ხან ძირითადში ვიყავი, ხანაც შეცვლაზე შევდიოდი. ჩვეულ ადგილზე, ნახევარდაცვის ცენტრში მათამაშებენ და ძირითადად თავდამსხმელების პასებით მომარაგება მევალება.

— გუნდის შესახებ რას იტყვი?

— „ორდაბასი“ საშუალო გუნდად ითვლება. დღეისთვის მეშვიდე ადგილზე ვართ, მიზნად კი ხუთეულში მოხვედრა დაგვისახეს. მწვრთნელი უკრაინელია, ლინჩევსკი. ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია და კარგი თვალით მიყურებს.

— ფეხბურთის დონე როგორია?

— არ მეგონა, ასეთი მაღალი დონე თუ იქნებოდა. საქართველოს ჩემპიონატს ნაღდად აღემატება. აქ მარტო ფინანსური მდგომარეობა არ იგულისხმება, ამ მხრივ არავის უჭირს. ბევრი ლეგიონერია რუსეთიდან და უკრაინიდან, სტადიონებიც თითქმის სულ სავსეა.

— ყაზახეთის ნაკრები საქართველოს თანაჯგუფელია. შენი აზრით, შევძლებთ მათ დამარცხებას?

— ფიზიკურად ძლიერები არიან, თუმცა საერთაშორისო თამაშების გამოცდილება აკლიათ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ნაკრები შეძლებს მათ დამარცხებას.

— თამაშს როდემდე აპირებ?

— კონტრაქტი ერთწლიანი მაქვს, მაგრამ აქედანვე მეუბნებიან, რომ არ გაგიშვებთო, ჩემი თამაშით, როგორც ჩანს, კმაყოფილები არიან, მეც ყველაფერი მაკმაყოფილებს და ალბათ ყაზახეთში დავრჩები.

ზია ამირანაშვილი
ქუთაისიდან

„იანგ ბოიზთან“ ირაკლი ზოიძის თამაში სათუოა

დინამო, იქაური ბიჭები და სკაუტები

თბილისის „დინამომ“ გერმანული რუიტი გუშინ, შუადღისას დატოვა და შვეიცარიულ ბალშტამში გაემგზავრა. დინამოელები ისევ სასტუმრო „კროიცში“ დაბინავდნენ, დღეს კი ჩვენი დროით 18 საათზე შვეიცარიულ „იანგ ბოიზს“ ეთამაშებიან.

„დინამოს“ ბოლო ვარჯიშს ირაკლი ზოიძე და ლევან სილაგაძე დააკლდნენ. ირაკლის კუნთი აქვს გაციებული, ლევანს კი საზარდული დაეჭიმა, თუმც სერიოზული არაფერია და შესაძლოა შვეიცარიელების წინააღმდეგ ორივემ ითამაშოს.

შესაძლოა, „იანგ ბოიზთან“ თამაშის საშუალება ლადო ბურდულსაც მიეცეს, ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის ბოლოს „დინამოს“ მწვრთნელები შეეცდებიან, ტრავმამოშუშებული ლადო მოედანზე შეუშვან.

„იანგ ბოიზთან“ მატჩს კი ჩეხური „სპარტას“, გერმანული „კაიზერსლაუტერნისა“ და „ლევერკუზენის“, აგრეთვე შვეიცარიული კლუბების სკაუტები დაესწრებიან.

დავით ერაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს
რატი ალექსიძეს მამის
თემურ ალექსიძის
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“
თანაუგრძნობს თავის ყოფილ ფეხბურთელს
რატი ალექსიძეს მამის
თემურ ალექსიძის
გარდაცვალების გამო

კადეტებისთვის რიჩარდი პირველია

ჩერქეზიშვილი ათეულს უმიზნებს



ბაჩარ დოლენჯაშვილის ფოტო

ხვალ დილით საქართველოს კადეტთა ნაკრები საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც 6-დან 15 ივლისამდე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. კადეტები ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით უძლიერეს, A კატეგორიის გუნდებში არიან და ფინალურ ეტაპზე გასასვლელად საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში არ სჭირდებათ. თუმც ფინალურ ეტაპს ვინ ჩივის, ჩვენი კადეტები საბერძნეთში A კატეგორიის გუნდებში ადგილის შესანარჩუნებლად მიდიან, რისთვისაც თორმეტ მონაწილეთაგან მინიმუმ ათეულში უნდა მოხვდნენ. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდი საბერძნეთში გარკვეული გამოცდილებით ჩადის, ჩვენი კადეტები ახლახან დაბრუნდნენ კიევიდან, სადაც ექვსი ამხანაგური მატჩი გამართეს...

— უკრაინიდან ძალიან კმაყოფილნი დავბრუნდით, იქაურებმა დიდი პატივი გვცეს. ერთი კვირა „ბკ კიევის“ ბაზაზე ვცხოვრობდით, იდეალური სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები გვქონდა.

— გუნდის მზადყოფნით თუ ხართ კმაყოფილი?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ამ ბიჭების პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ, შეიძლება ითქვას, ყველაფერმა დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ხარვეზები ძალიან ბევრი გვაქვს, მაგრამ ჩვენ იქ საკმაოდ მძლავრი საკალათბურთო ქვეყნების გუნდებს ვეთამაშეთ.

— რამდენი მატჩი გამართეთ?

— რაც დაგეგმილი იყო, ყველა მატჩი ვითამაშეთ. სამი, ასე ვთქვათ, ოფიციალური, ტურნირის ფარგლებში, სამიც იგივე გუნდებს ვეთამაშეთ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ორი თამაშის მოგება მოვახერხეთ უკრაინის პირველ და მეორე ნაკრებებთან, რუსებთან კი ტურნირზეც დავმარცხდით და სპარინგ-მატჩშიც. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა და ამ ტურნირზე, რომელიც ტრადიციულად იქცა. მომავალ წელსაც დაგვპატიჟეს.

— საერთო ჯამში კმაყოფილი ხართ?

— სანამ ძალა გასწვდათ, ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს. პირველი მატჩი რუსეთის ძლიერ ნაკრებთან გვქონდა, არაერთხელ დავწინაურდით, თუმც საბოლოოდ ხუთი ქულით წავაგეთ. შემდეგ კი უკრაინის პირველ ნაკრებს შევხვდით და საკმაოდ დამაჯერებლად ვძლიეთ, თუმც, როგორც აღმოჩნდა, ჩვენს ბიჭებს მხოლოდ ამ მატჩებისთვის ეყოთ ძალა. ჰოდა, სწორედ ამ ორი შეხვედრის შემდეგ დაიწყო ტურნირი, რომელშიც თავი დიდად ვერ გამოვიჩინეთ. თანაც გუნდის ლიდერი, რიჩარდ მათიაშვილი დაშავდა.

— შედეგი ხომ არ იყო მთავარი...

— რა თქმა უნდა, არა. კიევურ თამაშებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ბიჭები სატურნირო პირობებში თამაშს შეეგუვნენ. თანაც კიევში ის დაგვემართა, რაც შეიძლება საბერძნეთში ჯგუფურ ეტაპზეც მოხდეს, ანუ წავაგოთ. ჰოდა, ბიჭებმა უკვე წაგების გემოც იციან და მოგებისაც, ისიც დაინახეს, რომ ერთი თამაშისთვის მთელი ძალების შელევა არ შეიძლება, როცა ტურნირში მონაწილეობ — წინ ხომ უფრო მნიშვნელოვანი მატჩებია.

— ყველაზე სუსტი წერტილი რა შეამჩნიეთ?

— ყველაფერი სუსტია, თითოეული კომპონენტი საკმაო დახვეწას საჭიროებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ საბერძნეთში ერთი წლით უმცროსი გუნდით წასვლა. ამ შემადგენლობიდან უმეტესობას გაისადაც მოუწევს კადეტთა ტურნირებში თამაში და მაშინ უფრო გამოცდილები იქნებიან.

— კი მაგრამ, უმცროსი ასაკის გუნდმა ხომ შეიძლება ისე სუსტად ითამაშოს, სამომავლოდ A კატეგორიის გუნდებში თამაშის უფლება დაკარგოს?

— შეიძლება და ამიტომაც ჩვენი მიზანი სწორედ ძლიერთა შორის ადგილის შენარჩუნებაა, რისთვისაც 12 გუნდში მინიმუმ მე-10 ადგილზე უნდა გავიდეთ. აბა, იმის ძალა სად გვაქვს, ჯგუფში იტალიას, ლიტვას და სერბეთს ვეჭიდავოთ. ჩვენთვის ბრძოლა ჯგუფური ტურნირის შემდეგ იწყება, პლეი ოფს მიღმა დარჩენილი გუნდების წინააღმდეგ. ერთი წლით პატარები კი იმიტომ მიგვყავს, რომ მათში უფრო დიდი პერსპექტივაა, ვიდრე 88-იანებში, რომელთაც წლეულს აქვთ საკადეტო ასაკი. ეს, ასე ვთქვათ, დაჩაგრული თაობაა, ამიტომაც საბერძნეთში 89-იანები მიგვყავს, რომლებსაც მომავალ წელსაც მოუწევთ კადეტთა ევროჩემპიონატზე თამაში.

— რიჩარდ მათიაშვილი დაგვიშავდაო, თქვით და ვინაა ეს ყმაწვილი?

— რიჩარდი ჩვენი გუნდის ლიდერია, კიევში რაც ითამაშა, 22 ქულაზე ნაკლები არ გაუკეთებია. მათიაშვილი ყველას ძალიან მოეწონა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს დასახვეწი. პირველ რიგში უნდა მომძლავრდეს და თუ სიმაღლეში 5 სანტიმეტრსაც მოიმატებს, ძალიან დიდი პერსპექტივა ექნება. 15 წლისაა და 205 სანტიმეტრია. ჩვენ მისი დიდად გვეიმედება საბერძნეთში. მისი ტრავმა საბედნიეროდ მსუბუქი აღმოჩნდა.

ირაკლი პერტაია



ბაჩარ დოლენჯაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩულიამ ახალ გუნდში უკვე ივარჯიშა

ფაჩულიამ მილუოკის მიაკითხა

გუშინწინ ზაზა ფაჩულია პირველად მივიდა ახალ გუნდში. „მილუოკი ბაქსის“ გენერალურმა მენეჯერმა ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ფაჩულიასი დიდად გვეიმედება და 1 ივლისს ჩვენს ბაზაზე ველითო.

ჰოდა, მოვიდა 1 ივლისი და ფაჩულიამ მილუოკელთა ბაზის კარი შეაღო. ამ ამბავს საგანგებო სათაური უძღვნა მილუოკური პრესის ლიდერმა „ჯორნალ სენტინელმა“ — „ფაჩულია მზადაა „მილუოკის“ კემპისთვის“.

რა შეხსენება გინდათ — ფაჩულია ახლახან შეიმატა „მილუოკიმ“ ახალშექმნილი „შარლოტ ბობქეთსისგან“ და სანაცვლოდ წინა კვირაში გამართული დრაფტის 45-ე არჩევნის უფლება დაუთმო. საკუთრივ „ბობქეთსში“ კი ქართველი ცენტრი ერთი დღე ირიცხებოდა, შარლოტურმა გუნდმა მისთვის სახელდახელოდ მოწყობილ დრაფტზე ფაჩულია დილით რომ „ორლანდოდან“ აიყვანა, საღამოს „მილუოკიში“ გაუშვა.

„მილუოკი“ დღეს ჩაებმება საწვრთნელ კემპში სენტ ფრანცში მდებარე თავის ბაზაზე. „მილუოკიმ“ 12 კალათბურთელი შეკრიბა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ვეტერანი ცენტრი დან გაძურიჩი და შარშანდელი დრაფტის რჩეულნი — მარკუს ჰეისლიპი და შუიმონ შევჩიკი — არიან.

სენტფრანცული კემპი სამდღიანია და ორშაბათ საღამოს დასრულდება.

ირაკლი პერტაია

ჭადრაკი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ნახევარფინალი

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5,
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0:1

ინგლისელმა აზერბაიჯანელი სტრატეგიულად გაჭედა

ნახევარფინალის ყველაზე მხცოვანმა მონაწილემ, 32 წლის მაიკლ ადამსმა შავი ფიგურებით 15 წლით უმცროს თეიმურაზ რაჯაბოვს მოუგო და ოთხმატჩიან სერიაში 1:0 დაწინაურდა



აქამდე ეს დიდოსტატები ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორჯერვე გამოცდილ ინგლისელს უმარჯვია. პირველად ორი წლის წინ მხოლოდ ოთხი სწრაფი პარტია გაითამაშეს და ალბიონელმა 2,5:1,5 იმარჯვა. პირველი კლასიკური პარტია კი შარშან ერთ-ერთ ტურნირზე ითამაშეს და თეთრებით მოთამაშე ადამსმა თითქმის უპრობლემოდ მოიგო.

ლიბიური ჯახი ადრინდელებზე საინტერესო გამოდგა.

რაჯაბოვმა დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშა და მეექვსე სვლაზევე ხელმწიფე საიმედოდ გაამაგრა. ადამსმა ლაზიერის ფლანგისკენ გადაისროლა ძალები, აზერბაიჯანელის წინააღმდეგ მანევრებს მიმართა, პაიკით გავიდა წინ და ამ ფლანგს სრულად დაეპატრონა. ორთაბრძოლებს ყველა მძიმე ფიგურა შეეწირა, ამიტომაც მეტოქეებმა მსუბუქი ფიგურებით განაგრძეს ბრძოლა და პაიკების გაყვანას შეუდგნენ. ალბიონელმა კვლავ სტრატეგიას მიმართა, ზუსტი სვლებით აზერბაიჯანელს ფიგურები მთელ დაფაზე მიუბნ-მოუბნია, საკუთარი პაიკები კი ჩათვლის ხაზს მიაახლოვა და 47-ე სვლაზე იმარჯვა კიდეც.

კასიმჯანოვ — ტოპალოვის შეხვედრისას კი უზბეკი მალევე მიხვდა, რომ ბულგარელთან წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონდა და მე-15 სვლაზე ყაიმზე დაიყოლია.

ლუზა გეგეჭკორი

ტურ დე ფრანსი 2004

ლენსი და შანსი

ტურის ბორბალი უკუღმა დატრიალდება

ტურ დე ფრანსის დროც დადგა. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ველოტური დღეს ბელგიის ქალაქ ლიეჟში იწყება და 22 დღეში 3,5 ათასი კილომეტრის შემოწერის შემდეგ პარიზში, ელისეს მინდვრებზე დასრულდება. ბევრი კითხვიდან მთავარი ამოვარჩიოთ — ვისი გამარჯვებით დასრულდება?

ბოლო ხუთი წელია, მთავარ კითხვას ერთი პასუხი აქვს — ლენს არმსტრონგი. მგლისმუხლა ამერიკელმა კარგა ხანია, ყველა და ყველაფერი დაამარცხა და ახლა ისტორიის გადახაზვა უნდა. სანამ მსოფლიოს გააცნობდა თავს, სათესლე ჯირკვლის კიბოს სძლია, შემდეგ კი 1999-2003 წლებში ზედიზედ ხუთჯერ სხვებზე ჩაუქად გაიარა ფრანგული დიდი წრე და მიგელ ინდურაინის რეკორდი გაიმეორა. ტურის ხუთჯერ მოგება ზედიზედაც და ერთმანეთზე მიუყოლებლადაც რეკორდია და კიდევ ერთი ჩემპიონობა არმსტრონგს ლეგენდათა თავში მოაქცევს. არც ასაკი შეუშლის ხელს მაინცდამაინც, 32 წლისაა, ტურ დე ფრანსს კი გაცილებით მხცოვანი ჩემპიონებიც ჰყოლია. ლენს არმსტრონგიც მზადაა, ოღონდ...

„ძველებურ ფორმაში ვერ ვარ!" — ერთთავად ამას გაიძახის დიდი ჩემპიონი. მისგან არაერთხელ ძლეული და ახლაც მთავარი მეტოქე იან ულრიხი მოგვიწოდებს, არ დავუჯეროთ ჩემპიონის წუწუნს — „მე დარწმუნებული ვარ, ის ამ ტურზეც ბრწყინვალედ გამოვა. სულ იმას ამბობს, 100 პროცენტით მზად არა ვარო, მაგრამ ეს მხოლოდ ლაყბობაა."

1997 წლის ტურის ჩემპიონი და შემდეგ ოთხჯერ მეორე ადგილზე გასული (სამჯერ არმსტრონგთან ჭიდილში) ულრიხი ამჯერად ამერიკელის ერთადერთი რეალური კონკურენტი არ იქნება. თაობა მოდის და ახალი სახელები — იბან მაიო და ტაილერ ჰამილტონი დიდ ბრძოლას ჰპირდებიან ფავორიტ-ვიცეფავორიტის ლამის მარადიულ დუეტს. განსაკუთრებით ჰამილტონი ბობოქრობს, რომელიც გარდა იმისა, რომ ამერიკელია, არმსტრონგის მეგობარიც გახლავთ და ოდესღაც მის გუნდში მისთვის მუშაობდა. ნამდვილი ამერიკული ჯიშის მტაცებლის თვალებითაც იყურება ეს ჰამილტონი — ძმობა და მეგობრობა იქით იყოს, შარშან ტურზე მეოთხე ადგილზე გავედი, ახლა კი მხოლოდ ლენსის უკან მოტოვება დამაკმაყოფილებსო. ახალგაზრდა ბასკი იბან მაიოც ყოჩაღი ბიჭი ჩანს. შარშან ისიც მეწინავეებში ერია და წლეულსაც წვრილმან ველოტურებზე მარჯვედ ატრიალებდა პედლებს.

თავისთავად, იან ულრიხის ჩამოწერაც არ ეგების. ამ უნიჭიერესმა გერმანელმა საუკეთესო წლები ფუქსავატურ ცხოვრებაში გაფლანგა და 1997 წლის შემდეგ მუდამ ვიღაცის უკან მოჩანჩალებდა, მაგრამ ახლა თავს ძალა დაატანა და რამდენიმე თვე ემზადებოდა ტურ დე ფრანსისთვისო, ამეებს ვკითხულობთ ტურის წინათქმებში. ღმერთმა ყველა ღირსეულს პედალი მოუმართოს.

მარშრუტი

რიგით 91-ე ტურზე 21 გუნდის 189 მრბოლი დაიწყებს, მაგრამ ყველა ვერ მოახერხებს 3391 კილომეტრის გავლას ბარში და მთაში, მზეზე და ყინვაში. ტრავმების გამო პელოტონი გზადაგზა არაერთ მრბოლს დაკარგავს. კიდევ მეტს უბრალოდ მუხლში ღონე არ მიჰყვება ბოლომდე.

ტური ბელგიის ფრანგული ნახევრის სამრეწველო გულ ლიეჟში დაიწყება, გაივლის ვალონთა მთავარ ქალაქებს შარლერუას და ნამიურს შემდეგ ჩაუვლის ნაპოლეონის არა და მისი არმიისა და დიდების სასაფლაო ვატერლოოს და მხოლოდ მეოთხე დღეს გადაკვეთს ბელგია-საფრანგეთის საზღვარს. შემდეგ ხუთი იოლი ეტაპია ჩრდილოეთ საფრანგეთის (ნორმანდიისა და ბრეტონის) წვრილგორაკებიან ვაკეზე.

12 ივლისს ტური ისვენებს და თვითმფრინავით ჩაფრინდება ლიმუზინის პროვინციის ცენტრ ლიმოჟში. 13-15 ივლისს პელოტონი უკვე სამხრეთის ვაკეებზე, ვენახებში პუატუსა და გასკონიაში (ესპანურად ბასკონიაში) გააგრძელებს გზას. წვალება შემდეგ იწყება. 16 ივლისს გასავლელი მე-12 ეტაპიც ვაკეზე მიედინება, მაგრამ მთავრდება პირინეის მთებში მოზრდილი აღმართით. ეს პირველი სერიოზული გამოცდაა ფავორიტებისთვის. მომდევნო ეტაპი საერთოდ კოშმარია — 205-კილომეტრიან საცალმანქანო გზაზე ხუთი მთა წამოჭიმულა და აქ დაწყდება და დაიყოფა პელოტონი.

მე-14 ეტაპი ვაკიანია და B წერტილი ქალაქი ნიმია, რომელშიც ხალხი ერთ დღეს დაისვენებს ხუთდღიანი ჯოჯოხეთის წინ. ამ ხუთი ეტაპიდან ოთხი ალპების მთაგრეხილებზე გადადის, ერთი, მეხუთე კი ინდივიდუალური რბოლაა (რიგით მეორე) და აქ მრბოლებს ბოლო შანსი ეძლევათ, რაიმე შეცვალონ. ბოლო ეტაპს კი გასავათებული ველოქარავანი ყოველგვარი მღელვარების გარეშე გაივლის და ოდისეას 25 ივლისს პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ ხალხის ზღვაში დაასრულებს.

სხვათა შორის, წლეულს ტური საათის ისრის საწინააღმდეგოდ შემოწერს წრეს, რაც საკმაო იშვიათობაა.

ირაკლი ფირაზვილი

ლენს არმსტრონგი რეკორდს მიადგა

პროლოგი	3 ივლისი	ლიეჟი	6,1 კმ
1 ეტაპი	4 ივლისი	ლიეჟი — შარლერუა	202,5 კმ
2 ეტაპი	5 ივლისი	შარლერუა — ნამიური	197 კმ
3 ეტაპი	6 ივლისი	ვატერლოო — ვასკელი	210 კმ
4 ეტაპი	7 ივლისი	კამბრაი — არასი	64,5 კმ*
5 ეტაპი	8 ივლისი	ამიენი — შარტრი	200,5 კმ
6 ეტაპი	9 ივლისი	ბონევალი-ანჟე	196 კმ
7 ეტაპი	10 ივლისი	შატობრაიანი — სენტ ბრიო	204,5 კმ
8 ეტაპი	11 ივლისი	ნამბალი — კუმპიე	168 კმ
	12 ივლისი	დასვენების დღე	
9 ეტაპი	13 ივლისი	სენტ ლეონარ დე ნობლა — გერე	160,5 კმ
10 ეტაპი	14 ივლისი	ლიმოჟი — სენტ ფლური	237 კმ
11 ეტაპი	15 ივლისი	სენტ ფლური — ფიჟაკი	164 კმ
12 ეტაპი	16 ივლისი	კასტელსარასენი — ლა მონჟი	197,5 კმ
13 ეტაპი	17 ივლისი	ლანემეზანი — პლატო დე ბეილი	205,5 კმ
14 ეტაპი	18 ივლისი	კარკასიონი — ნიმი	192,5 კმ
	19 ივლისი	დასვენების დღე	
15 ეტაპი	20 ივლისი	ვარლე — ვილარ დე ლენსი	180,5 კმ
16 ეტაპი	21 ივლისი	ბურგ დუასანი — ალპე დუეზი	15,5 კმ**
17 ეტაპი	22 ივლისი	ბურგ დუასანი — ლე გრან ბორნანი	204,5 კმ
18 ეტაპი	23 ივლისი	ანემასი — ლონს ლე სოლნიე	166,5 კმ
19 ეტაპი	24 ივლისი	ბეზანსონი — ბეზანსონი	55 კმ**
20 ეტაპი	25 ივლისი	მონტრო — პარი-შანზ-ელიზე	163 კმ

* — გუნდური რბოლა; ** — ინდივიდუალური რბოლა



უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ХОРОША МАША, ДА НЕ НАША





ქალები
ნახევარფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) 6:7 (4:7), 7:5, 6:4; მარია შარაპოვა (13, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 2:6, 7:6 (7:5), 6:1

მარია შარაპოვაზე უკვე იმდენი აღმატებული სიტყვის თქმა მოესწრო და მისი მისამართით წარმოთქმულ-წარმოსათქმელ საღეგრძელოთა ემოციური თამასა უკვე ისეთ სიმაღლეზე შემოიდო, რომ ფინალში მის გასვლასთან დაკავშირებით რაღაც ახალი ფერადები უნდა შეირჩეს. მაგრამ რაკიღა საამისოდ ახლა არც თავი გვაქვს და არც ილაჯი, ამ ამბისადმი ჩვენი დამოკიდებულება სჯობს სტატისტიკოსთა დავთრიდან ერთი ფაქტის მოხმობით გამოვხატოთ: ღია პირველობათა ერაში მაშაზე უმცროსი, ვინაც უიმბლდონობის ფინალს უწია, მხოლოდ 16 წლის მარტინა ჰინგისი გახლდათ. ცუგრუმელა მარტამ ეგ ამბავი 1997 წელს გაახერხა, ანუ მაშინ, როცა რომ შარაპოვა დაბადებიდან ჯერაც 10 წელიწადს ითვლიდა.

ეგ არის და ეგ! ამ ამბავს აღარც არაფრის დამატება უნდა და აღარც „ცვეტში ბაზარი“.

სხვაფრივ:

უიმბლდონობის ფინალში ვინგინდავინ რუსმა ქალმა ბოლოჯერ ოცდაათი წლის წინ ითამაშა. ეს ოლგა მოროზოვა იყო, ვინაც ახლა ელენა დემენტიევას მწვრთნელია.

ჰო, გამიგია, დიდი მოთამაშე იყოო, ამბობდა მასზე შარაპოვა და ძირითადად კი მაინც იმას ჰკვირობდა — დაუჯერებელია, ნუთუ მართლა ფინალში მოვხვდიო. „ვიცოდი, რომ ბევრი რამის მიღწევა შემეძლო, თუკი მაგრად ვიმუშავებდი და ჩემი თავის რწმენა მექნებოდა — დასძენდა ის — მაგრამ ის კი ვერ წარმომედგინა, თუკი ასეთ ადრეულ ასაკში ამხელა რამეს მოვახერხებდი. უიმბლდონი ხომ ჩემი უსაყვარლესი ტურნირია.“

ხოლო თუკი შარაპოვას ჭყლოპინს მოვეშვებით და მის მიერ გვემულ ლინდსი დევენპორტზე გადავალთ, მაშინ ორიოდე რამის თქმაც მოგვიწევს. სახელდობრ კი იმისა, რომ ტურნირის 1999 წლის ჩემპიონი ამერიკელი წლის ბოლოს ჩოგანს ჩამოკიდებს და — მაშასადამე — უიმბლდონურ სეფეკოინდარზე ჩვენ ის უკანასკნელად ვიხილეთ. არადა, ამ კოინდარს ლინდსი 1993 წლიდან ჯეგავდა და სხვა, არცთუ ბევრ ქალმეჩოგნესთან ერთად, მასზე თავისი წარუშლელი ჩოგანკვალის აღბეჭდვაც შეძლო.

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ძალიან გრძელი და იმავდროულად საოცარი კარიერა მქონდაო, ამბობდა ნამატჩევს დევენპორტი. რაც შეეხება დამარცხებას, უკვე დიდი ხანია, აღარც გამარჯვებები მახარებს ისე, როგორც ადრე და ვეღარც დამარცხებები მანაღვლიანებსო.

თუმცა ხმაზე ეტყობოდა, რომ მაინც გულნატკენი იყო...

ხოლო რას გააკეთებს ლინდსი მაშინ, როცა კორტზე სირბილი და ჩოგნის ქნევა აღარ მოუწევს?

„შინ ფუსფუსს და ბავშვების გაზრდას“ — პასუხობს ის და მაინც იღიმება.

წასვლა კი მას უკვე დასტურ და შეუქცევლად განუზრახავს: „წლის ბოლოს აუცილებლად დავამთავრებ. მანამდე კი კალიფორნიაში რამდენიმე ტურნირზე გამოვალ, მერე აშშ-ის ღია პირველობაზეც ვითამაშებ, ხოლო ყველაზე კარგი ის იქნება, თუკი წელი ლოსანჯელესურ მასტერსთასზე გამისრულდება. აქ კი ჩემი თავი უკვე ვეღარ წარმომიდგენია — ვეღარც 12 თვის შემდეგ და ვეღარც როდესმე“

ამელი მორესმო: ვერ იქცა ბებია ბაბუად



ლინდსი დევენპორტი: უიმბლდონისთვის აღარ ვარსებობ



17 წლის სლავური სექსრიჟრაჟი კი თავის უმანკო, ჯერაც სტიქიურ ნათებას განაგრძობს და ჯონ მაკინროის თუ დავუჯერებთ, თავის სხივბლონდებში ვინძლო ორგზის ტიტულდაცველი ავაზის, სერენა უილიამსის გახვევაც გამოუვიდეს.

მაკინროი: „რაკიღა მხოლოდ 17 წლისაა და დიდი სიმაღლიდან ჯერ არასოდეს დაცემულა, მარია შარაპოვას არც არაფრისა ედარდება და ყოველი ქულისთვის დაუფიქრებლად იბრძვის. მას არაფერი აშინებს და ჰალალად სჯერა, რომ ტიტულის შოვნა ხელეწიფება. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ სერენა ახლა თავის საზეო ფორმაში მართლაც არაა, შარაპოვა ფინალში ისე ითამაშებს, როგორც თავის გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებული ოსტატი.“

მაგრამ სერენამ იმ დღეს თავისი მორიგი დიდი გამარჯვება მოიპოვა და ეგებ ეს მართლაც არ იყო მხოლოდ მისი საარაკო ჩოგნაობის შედეგი, რუსი გოგოცუნას წინააღმდეგ საფინალოდ ეს მას მაინც აურაცხელი საჩემპიონო დავლათით შეამარაგებდა.

არადა, პირველი წაგებული სეტის შემდეგ უმცროს უილიამსდას დაძაბულობისგან თითქოს ჩოგანიც უკანკალებდა და ვეღარც თუ თავდაჯერებულობის ამოუწყავ მარაგში ჰპოვებდა საშველს. მაგრამ მერე და მერე საკმარისი იყო მატჩის სადავეებს წამით მაინც უკუწვდენოდა, ჩარხის სათავისოდ შეტრიალებაც რომ მოახერხა.

ამელი მორესმოს კი, ვინ იცის, ნერვებმა თუ (ამ ჯერზე — ზურგის) ტრავმამ ეს მერამდენედ არ დაანება საკარიერო გარღვევის გაკეთება. ანერვიულებული სერენას დათრგუნვით ხომ მას კარიერის მეორე სლემფინალში გასვლა შეეძლო, სადაც ეგებ არც ნორჩ რუსგოგოს ძლევა გასჭირვებოდა.

თუმცა ეს ყველაფერი ისევ ბებიის ბაბუად ქცევის არაკს ჰგავს, არაკს, რომელსაც მორესმოსთან მიმართებაში მეტი დატვირთვაც ენიჭება, მაგრამ რეალობას მაინც ვერ ცვლის.

ასე რომ — რეალობას გაუმარჯოს, თავისი რეალური ბებიებით, ბაბუებით და ჩემპიონებით!

ლევან კელაურაძე

კაცები
ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — სებასტიან გროუანი (10, საფრანგეთი) 6:2, 6:3, 4:3 გადაიდო; ენდი როდიკი (2, აშშ) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 4:3 გადაიდო

სადაც გაწკარუნდება, იქ გაისვრიტება

ევროპელი გოგონები დაშნა-რაპირას ანკარუნებენ კოპენჰაგენში ევროპირველობაზე.ფინალში ერთმანეთისთვის ხმლები გადაუჯვარედინებიათ რუს ეკატერინა ფედორკინასა და პოლონელ ალექსანდრა სოხას. ამათგან ვინ განგმირა მეორე, ამის მონერა კი დაჰვიწყებია დია პატივცემულ როიტერს.



ჩვენ ვზივართ ნავებში

ოქსფორდშირში სამდინარო რეგატა გამართულა, რომელიც „ჰენლის" სახელით ცნობილა. ეს ჭრელი ხურგები პატიმრებისა არ გეგონოთ, სწავლას მოწყურებული ირლანდიელი სტუდენტებისაა დუბლინის ტრინიტი ჯოლეჯიდან. ქვემო ფოტოზეც ერთ-ერთი გუნდი მიაქანებს ნავს მდინარისკენ.

F1

მეათე მტაცი საფრანგეთის დიდი პრიზი

მანი-ჩარჩელი

ნიკერი 4 ივლისი



ტრასის სიგრძე ---------- 4.411 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 70 წრე — 308.586 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე

შარშან: 1 რ. შუმახერი (უილიამსი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 მ.შუმახერი (ფერარი); 4 რაიკონენი (მაკლარენი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ვებერი (იაგუარი); 7 ბარიკელო (ფერარი); 8 პანი (ტოიოტა)

წრის რეკორდი: 2003 — მონტოია (უილიამსი) 1.15,512 (210,3კმ/სთ)

მიხაელ შუმახერმა შარშან საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებაში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ წლეულს ისე დაქრის, შარშანდელი-მინი-ჩავარდნები არაფერს ნიშნავს. მიხაელმა სეზონის პირველი ცხრა რბოლიდან რვა მოიგო და ლამის ჩემპიონატის ნუაწელს მოიპოვა ზედიზედ მეხუთე ჩემპიონობა. „მანი კურზე" პარასკევის ვარჯიშზე მას რამდენიმე მრბოლმა გაუსწრო (საუკეთესო დრო ტოიოტელმა კრისტიანო და მატამ აჩვენა), მაგრამ ეს ჯერ არაფერს წყვეტს.

ფეხბურთი

Copa Toyota Libertadores '2004

ფინალი. საპასუხო მატჩი

ონსე კალდასი (კოლუმბია) 1:1(პენ.2:0) ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (1:1)
1:0 ვიაფარა (8), 1:1 ბურდისო (52)

ირლანდია

პრემიერლიგა. XIX ტური

უოტერფორდი 1:3 დროჰედა
შელბურნი 1:1 შემროკი
სენტ პატრიკსი 0:1 დერი სიტი

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIII ტური

ბოლტონი 1:2 ბლეკბერნი
ბერმინგემი 1:1 ბოლტონი
ბლეკბერნი 1:1 ბერმინგემი
ბოლტონი 1:1 ბერმინგემი
ბლეკბერნი 1:1 ბოლტონი
ბერმინგემი 1:1 ბლეკბერნი

ჯორჯ სიტი — დუბლინი გადაიდო

შვედეთი

თასის მერვედფინალი

იურგორდენი 3:2 სუნდსვალი
ჰალმსტადი 2:4დ.დ.(2:2) *იორეებრო*

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge